გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№19 (1561) 9 — 15 ივნისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„ნიღბების თაობის“ სევდა ანუ როგორ შეცვალა კორონამ პოლიტიკა

შეზღუდული ადამიანის უფლებები და მსოფლიოს ახალი გადანაწილება

„ამაზე დიდი პოლიტიკური დანაშაული ძნელი წარმოსადგენია!“

რა გავლენას მოახდენს ბიძინა ივანიშვილის განცხადება გახარიას ოპოზიციურ საქმიანობაზე – არჩილ გამზარდიას შეფასებები

სამი შვილის დედა ჯერ გააუპატიურეს და მერე „ატვიორტკით“ მოკლეს

როგორ გადაურჩა გაუპატიურებას და როგორ იძია შური იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა გოგომ

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

ეკონომიკის 44%-იანი ზრდა – რეალობა თუ გაბერილი ციფრები

რაში ადანაშაულებს ეროვნულ ბანკს და რატომ სთხოვს „საქსტატს“ დათვლის მეთოდიკის შეცვლას თემურ ბასილია

პოლიციამ ქუთაისში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი დააკავეს.

1988 წელს დაბადებულ დ.გ.-ს ბრალად განზრახ მკვლელობის მცდელობა ედება, ხოლო 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.ც. – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვის ბრალდებითაა დაკავებული. დანაშაულები 6-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 4 ივნისს, დ.გ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე, თანმხლებ პირებთან ერთად, ავტომობილით დაედევნა ნაცნობს – 1990 წელს დაბადებულ დ.ბ.-ს, რომელიც წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მომხდარიდან მეორე დღეს, დ.გ. – თბილისში, ხოლო მ.ც. – ოზურგეთში დააკავეს.

განზრახ მკვლელობის მცდელობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით და 375-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ პრაქტიკული საგამოცდო პროცესისთვის მოტოპარკი განაახლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ მოტოპარკი, KAWASAKI-ის მარკის 16 მოტოციკლით განაახლა. ახალი მოტოციკლები სრულად შეესაბამება ევროსტანდარტებს და აღჭურვილია ყველა საჭირო დამცავი მექანიზმით, რაც საგამოცდო პროცესის უსაფრთხოდ ჩატარებას უზრუნველყოფს.

დაინტერესებულ პირებს A/A1 კატეგორიისა და ქვეკატეგორიის მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში შეეძლებათ.

აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, მოტოციკლის – A/A1 კატეგორიისა და ქვეკატეგორიის პრაქტიკულ გამოცდაზე გამსვლელმა პირებმა სასურველია, გამოიყენონ საკუთარი უსაფრთხოების დამცავი ჩაფხუტი.

მომსახურების სააგენტო, მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, კვლავ სრულად ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ პროექტის – „სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში“ – მმართველი კომიტეტის შემაჯამებელ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში“ – მმართველი კომიტეტის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ.

მინისტრის მოადგილემ პროექტის ფარგლებში წარმატებით განხორციელებულ აქტივობებსა და მნიშვნელოვან მიმართულებებზე ისაუბრა.

„მინდა, ხაზი გავუსვა, რომ პროექტმა მნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებას და სხვადასხვა ეტაპზე რეფორმირების პროცესის წარმატებით განხორციელებას. პროექტით გათვალისწინებულ მიმართულებებს შორის აღსანიშნავია: ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ხელშეწყობა, გამოძიების მეთოდები, გამოძიების პროცესის შეფასება, საგამოძიებო რეფორმის ხელშეწყობა, დანაშაულის ადგილის მართვა, შსს-ს აკადემიის შესაძლებლობების გაძლიერება, დანაშაულის სტატისტიკის წარმოება, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარება, დისციპლინური სამართალწარმოება და სხვა“, – აღნიშნა ალექსანდრე დარახველიძემ.

ონლაინ-შეხვედრაზე მმართველი კომიტეტის წევრებმა ბოლო წლების განმავლობაში პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები შეაჯამეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ევროკავშირის დელეგაციის წევრები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლები.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2016 წლიდან ხორციელდება. მისი მიზანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა, კოორდინაცია და მონიტორინგი, ასევე, საერთაშორისო სტანდარტებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმების განხორციელების პროცესის ხელშეწყობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტრო ინტენსიურ რეჟიმში აგრძელებს გამოძიებას წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში აღსაზრდელების მიმართ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე.

უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირების გამოკითხვები. საპროცესო ღონისძიებებში არასრულწლოვანთა მონაწილეობა ხდება კანონმდებლობის სრული დაცვით და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. გამოძიების პროცესში ჩართულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები. უკვე გამოკითხულია რამდენიმე არასრულწლოვანი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან“.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ გამოძიების დაწყების საფუძველი სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაცია გახდა. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმართავს აღნიშნული პანსიონატის თემით დაინტერესებულ ყველა მედიასაშუალებას, რომელიც შესაძლოა ფლობდეს გამოძიებისთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციას, ითანამშრომლონ გამოძიებასთან და მიაწოდონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს გამოძიების სწრაფად და ობიექტურად წარმართვას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ნინოწმინდაში მდებარე ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში აღსაზრდელების მიმართ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილით აწარმოებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო პანსიონატთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შესახებ, საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, პერიოდულად აცნობებს საზოგადოებას.

საპატრულო პოლიციამ თბილისში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა



შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული ე.ი., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, თბილისში დააკავეს. დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 4 ივნისს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1994 წელს დაბადებულ დ.ბ.-ს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანება მიაყენა.

სამართალდამცველებმა ე.ი. ცხელ კვალზე დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ამოღებულია ნივთმტკიცებად.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ნინო დოლიძე

„ნიღბების თაობის“ სევდა ანუ როგორ შეცვალა კორონამ პოლიტიკა

შეზღუდული ადამიანის უფლებები და მსოფლიოს ახალი გადანაწილება

ჯერ კიდევ ორი წლის წინ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მოვიდოდა დრო და მსოფლიო დაპაუზდებოდა. დღეს კი ეს „დაპაუზება“ რეალობაა, თანაც ისეთი რეალობა, რომ არავინ იცის, როდის შეიცვლება. ისე, ზოგს კითხვა აქვს, როგორ შეიძლება, ადამიანი ანუ ინტელექტუალური არსება უსულო ვირუსმა შეაშინოს, მაგრამ ეს უსულო ვირუსი, პრაქტიკულად, თანამედროვე „შავი ჭირია“, ჭირი, რომელიც იმაზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ, „ჰომოსაპიენსებს“ გვგგონია. ერთი სიტყვით, უხილავმა ვირუსმა დედამიწა თავდაყირა დააყენა და მსოფლიოში ახალი წესრიგი დაიწყო.

მაინც, რა არის ეს ახალი წესრიგი? – ამ კითხვას პასუხი მეტ-ნაკლებად ამომწურავად რომ გავცეთ, მოდით, საკითხს ასე შევხედოთ:

მახსოვს, ცხონებული ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე, ისეთი დრო მოვა, ჰაერზეც გადასახადს დააწესებენო. საერთოდ, თუ კარგად დავაკვირდებით, ნებისმიერი ფანტაზია, ადრე თუ გვიან, რეალობა ხდება ხოლმე და ეს გასაკვირიც არაა, რადგან ყველაფერი, რისი წარმოდგენა-წარმოსახვაც ადამიანის გონებას შეუძლია, ოდესმე, აუცილებლად ხელშესახები გახდება. აი, მაგალითად, იყო დრო, როცა მფრინავ ხალიჩებზე ზღაპრებს თხზავდნენ, მაგრამ კარგა ხანია, „მფრინავი ხალიჩა“, ესე იგი, თვითმფრინავი ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია.

მოკლედ, ჰაერზე გადასახადი, წელიწადზე მეტია, რეალობაა ანუ ღია თუ დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის გარეშე სიარული ჯარიმდება. შესაძლოა, 20 ან სულაც 50 ლარი კოლოსალური ჯარიმა არაა, მაგრამ ქვეყანაში, სადაც 800 ათასამდე ადამიანი სოციალურად დაუცველია, 20 კი არა, ერთი ლარიც დიდი პრობლემაა.

ერთი სიტყვით, ჩვენი ბებია-პაპები „ომის ადამიანები“ იყვნენ (მეორე მსოფლიო ომს ვგულისხმობ), ჩვენ ბნელი 90-იანელები ვართ, ჩვენი შვილები კი „პირბადეების თაობის“ წარმომადგენლები იქნებიან.

ისე, უცნაურია, მაგრამ ფაქტია: 21-ე საუკუნეში, ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ადამიანის უფლებებია, თუმცა დღევანდელი მოცემულობით, კორონაპანდემიამ ყველაზე მეტად სწორედ ადამიანის უფლებები შეზღუდა.

სხვათა შორის, ადამიანის შეზღუდულ უფლებებზე ხელისუფლებებიც აკეთებენ აქცენტს.

ასე, მაგალითად, საქართველოს მთავრობის 2020 წლის კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ანგარშში, სიტყვა-სიტყვით წერია:

„ყველაფერი, რასაც მსოფლიო აკეთებს პანდემიასთან საბრძოლველად, ადამიანისა და მისი უფლებების დაცვას ემსახურება. უპრეცედენტო მსოფლიო კრიზისმა ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით გადადგმული არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, გამოაჩინა რა, ის რისკები და საფრთხეები, რაც ვირუსმა ჩვენს ყოველდღიურობაში შექმნა“.

მოგეხსენებათ, ხალხი ჭრელია. ამ სიჭრელეს, კორონას წყალობით, ახალი მიმდინარეობაც დაემატა – ვაქსერები და ანტივაქსერები. მოგეხენებათ, ვაქსერები ისინი არიან, რომლებიც ვაქცინაციას დაჟინებით უჭერენ მხარს. ანტივაქსერები კი ამტკიცებენ, რომ ვაქცინის გაკეთება არ შეიძლება, რადგან კვლევები ჯერ არ დასრულებულა.

ახლა, შეიძლება, ვინმემ იკითხოს, საზოგადოების სიჭრელე და მით უმეტეს, ვაქსერები და ანტივაქსერები ადამიანის უფლებებთან რა შუაშიაო, მაგრამ თუ დავაკვირდებით, შუაში კი არა, თავშია და აი, რატომ:

მართალია, დღევანდელი მოცემულობით, ვაქცინაცია ნებაყოფლობითია და, ალბათ, მომავალშიც ასე იქნება, მაგრამ ეს ოფიციალურად. არაოფიციალურად კი, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ ის, ვისაც აცრა არ ექნება გაკეთებული, ვთქვათ, კაფეში აღარ შეუშვან. საზღვარგარეთ მოგზაურობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

ახლა, ჩნდება კითხვა: როცა ადამიანს იმის გაკეთების საშუალებას არ აძლევენ, რისი სურვილიც აქვს, ეს ნიშნავს თუ არა უფლებების შეზღუდვას?

ისე, ისიც უფლებების შეზღუდვაა, რომ მთელ მსოფლიოში „ლოქდაუნები“ იყო გამოცხადებული და დღისა თუ ღამის სხვადასხვა მონაკვეთში, ხალხს თავისუფლად გადაადგილების უფლება არ ჰქონდა!

ერთი სიტყვით, ნათელია, რომ კორონაპანდემიამ ყველაზე მეტად ადამიანის უფლებებს დაარტყა!

რაც შეეხება იგივე პოლიტიკას, მსოფლიოს უმსხვილესი ქვეყნების ხელისუფლებები კორონაპოლიტიკაზე გადაეწყვნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ადრე ყველაზე დიდი საფრთხე, მაგალითად, ატომური იარაღი იყო, ახლა ეს თემა აღარავის აღელვებს, რადგან ყველა ძალიან კარგად ხვდება, რომ დედამიწის გადანაწილება და გავლენების გაზრდა თუ შემცირება, კორონათი მშვენივრად შეიძლება ანუ გამოდის, რომ კორონა ისე უნდა განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღი?

შესაძლოა, ამ მსჯელობაში ლოგიკა მართლაც არის...



ისე, არავინ იცის, წლების მერე, როცა ყველაფერი დალაგდება, ჩინეთს, საიდანაც კორონამ იფეთქა, დანარჩენი მსოფლიო პასუხს რა ფორმით მოსთხოვს, თუმცა ამ ეტაპზე ნათელია, რომ ჩინეთში კორონა აღარც ახსოვთ, სამაგიეროდ, სხვა ქვეყნებში კორონათი მიყენებულ ეკონომიკურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ზიანს თავს ვერ აღწევენ.

თუ ასე გაგრძელდა, მაშინ სავსებით დასაშვებია, რომ ჩინეთი კიდევ უფრო ზესახელმწიფო გახდეს და სხვების უძლეველობის მითი საპნის ბუშტივით გაქრეს.

ამასობაში, დაძაბულობაა, უფრო სწორად, იყო ახლო აღმოსავლეთშიც – რამდენიმე კვირის წინ, ისარელსა და ჰამასს შორის დაძაბულ ვითარებას ვგულისხმობ. უფრო ადრე, ე.წ. ყარაბაღის კონფლიქტიც განახლდა და ყველაფერმა ამან შექმნა მოცემულობა, რომ იგივე სამხრეთ კავკასიაში, რაღაც იცვლება. ეს რაღაც კი, დიდი ალბათობით, ის იქნება, რომ ჩრდილოეთის გავლენები გაძლიერდება, თუმცა ამისთვის ჩვენებურ თუ უცხოელ ანალიტიკოსებს მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ.

რატომ?

ამ კითხვაზე პასუხი უმარტივესია – დღეს, მსოფლიოს მთავარი თავის ტკივილი კორონაპანდემიაა, პანდემია, რომლის მეოთხე ტალღასაც შემოდგომაზე ელოდებიან. და რაკი დაანონსებულია მეოთხე ტალღა, ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ კორონაისტერიკა, მინიმუმ, მომავალ წელსაც გაგრძელდება. შესაბამისად, მომავალ წელსაც მსოფლიო ისევ შეშლილობის ზღვარზე იქნება და... შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ ცხოვრების კიდევ ახალ, აქამდე უცნობ წესზე მოგვიწიოს გადასვლა!

მოკლედ, ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

მაინც, რა ყველაფრისთვისო? – იკითხავს მავანი.

წეღანდელი თქმისა არ იყოს, ნებისმიერი ფანტაზია, ადრე თუ გვიან, რეალობა ხდება. ჰოდა, ახლა, უცებ წარმოვიდგინე, რომ ჩვენს პლანეტას სახელი გადაარქვეს და „კორონა“ დაარქვეს. დიახ, ეს ფანტაზიაა, ბოროტი ფანტაზია, მაგრამ ბოროტი ფანტაზიებიც ზუსტად ისევე ცხადდება ხოლმე, როგორც – კეთილი.

ასე რომ, მოდით, კოსმოსში დადებითი ენერგია გავუშვათ და იქ, სადღაც ზემოთ „გამაგრებულ“ ზებუნებრივ ძალებს ვთხოვოთ, რომ კორონამდელი ცხოვრება დაგვიბრუნოს!

„ამაზე დიდი პოლიტიკური დანაშაული ძნელი წარმოსადგენია!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა გავლენას მოახდენს ბიძინა ივანიშვილის განცხადება გახარიას ოპოზიციურ საქმიანობაზე – არჩილ გამზარდიას შეფასებები

7 ივნისს, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და ყოფილმა თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია: „როგორც საზოგადოებას მოეხსენება, პოლიტიკიდან ჩემი გასვლის შემდეგ, არ გამიკეთებია არცერთი პირდაპირი თუ ირიბი განცხადება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ. მაშინაც კი, როდესაც მიმდინარე წლის თებერვალში, სახელმწიფო და ხელისუფლება სერიოზული პოლიტიკური გამოწვევის წინაშე დადგა, არ გამომიხატავს ჩემი პოზიცია, რათა ვინმესთვის, ჩემი პოლიტიკური ინტერესის შესახებ სპეკულირების საბაბიც კი არ მიმეცა.

პოლიტიკიდან გასვლის ფონზე, ბუნებრივია, არ შემიწყვეტია ურთიერთობა საზოგადოების წარმომადგენლებთან. ოჯახის წევრებისგან, მეგობრებისგან, ახლობლებისგან, ნაცნობებისგან ვიღებ ინფორმაციას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. მათგან შევიტყვე მოარული თუ შეგნებულად გავრცელებული ხმების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ, თითქოს, გიორგი გახარიას პარტია ჩემი ე.წ. პოლიტიკური პროექტია. რადგან ვხედავ მცდელობას, პოლიტიკიდან გასვლის მიუხედავად, ცრუ ინფორმაციის გავრცელებით, ჩემი სახელი კვლავაც ქართულ პოლიტიკას დაუკავშირონ, თავს ვალდებულად მივიჩნევ, საზოგადოებას მივცე მცირე განმარტება ამ თემასთან დაკავშირებით.

1. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სატელიტი ფსევდოპარტიების შექმნა საქართველოში, წლების მანძილზე, ფართოდ დანერგილი მანკიერი პრაქტიკა იყო. თუმცა, ამგვარი რამ ჩემი ხელწერა არასოდეს ყოფილა და 2011 წლიდან პოლიტიკიდან ჩემს საბოლოოდ გასვლამდე ქართული საზოგადოებისთვის არცერთი ფსევდოპარტიის შექმნა არ მიკადრებია. მით უფრო გამორიცხულია, ამგვარი რამ საკუთარ თავს ან საზოგადოებას პოლიტიკიდან გასვლის შემდეგ ვაკადრო.

გარდა იმისა, რომ ფსევდოპარტიის შექმნა, თავისთავად, არასწორი მოვლენაა, გიორგი გახარიასთან პოლიტიკური თანამშრომლობა ჩემთვის ისედაც ყოვლად მიუღებელი იქნებოდა. მთელი ამ წლების მანძილზე, ქართულ პოლიტიკაში უამრავი პოლიტიკური გადაცდომის მომსწრე გავხდით და მეგონა, რომ ამ თვალსაზრისით, აღარაფერი და ვეღარავინ გამაოცებდა. თუმცა, რაც გიორგი გახარიამ მიმდინარე წლის თებერვალში გააკეთა, ამ ფონზეც კი, გაკვირვებას იწვევს.

მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა და ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფო თანამდებობის პირმა, სრულიად გაუგებარ დროს, ყოვლად გაუგონარი მიზეზით დატოვა თანამდებობა – იგი გადადგა იმ მიზეზით, რომ არ სურდა კანონის უზენაესობის დაცვა და კანონის აღსრულება, რისკენაც მას მთელი პოლიტიკური გუნდი მოუწოდებდა. ის ითხოვდა კანონის აღსრულების ორი დღით გადავადებას, რის შესახებაც ჩვენ დღემდე, ვერავითარი დამაჯერებელი განმარტება ვერ მოვისმინეთ. გახარიას ეს პოზიცია მით უფრო გაუგებარი იყო იმ ფონზე, რომ რამდენიმე დღით ადრე, ის საკუთარი გუნდისგან მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნას დაჟინებით მოითხოვდა. უმაღლესი თანამდებობის პირის ამგვარ მოქმედებას, გაუგებრობის ხარისხით, მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაშიც კი ძნელად შეიძლება მოეძებნოს ანალოგი.

2. თებერვალში, გიორგი გახარიას ქმედება იყო საკუთარი გუნდის ღალატი და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს იყო საკუთარი სახელმწიფოს პირდაპირი ღალატი! სამართლისა და კანონის უზენაესობა არის ნებისმიერი სახელმწიფოს ქვაკუთხედი. უპირველეს ყოვლისა, სწორედ კანონის უზენაესობის მიმართ დამოკიდებულებით უნდა შეფასდეს და გაიზომოს ნებისმიერი პოლიტიკოსისა და სახელმწიფო თანამდებობის პირის საქმიანობა და მოღვაწეობა. როდესაც უმაღლესი რანგის თანამდებობის პირი კანონის უზენაესობის წინააღმდეგ გამოდის და ამ საბაბით თანამდებობას ტოვებს, ამაზე დიდი პოლიტიკური დანაშაული ძნელი წარმოსადგენია. მინდა მწუხარებით აღვნიშნო, რომ ამ ყველაფერმა, ჩემი მძიმე იმედგაცრუება გამოიწვია.

ამ ყველაფრის ლოგიკური გაგრძელება იყო გიორგი გახარიას მიერ პოლიტიკური პარტიის დაფუძნება. მის პარტიას არა აქვს არავითარი იდეოლოგიური თუ კონცეპტუალური საფუძველი და იგი, აშკარად მოაზრებულია, როგორც სიტუაციური ინსტრუმენტი მმართველი გუნდისთვის საარჩევნო ხმების თუნდაც მცირე რაოდენობის წასართმევად.

ჩემი ერთ-ერთი საყვარელი გამონათქვამია – ზოგი ჭირი მარგებელია. იყო გათვლა, რომ გახარიას გადადგომით დადგებოდა მძიმე პოლიტიკური კრიზისი. თუმცა, როგორც ვხედავთ, მმართველი პარტიის ძლიერმა, პროგრესულმა და გამოცდილმა გუნდმა მარტივად შეძლო სირთულეების დაძლევა და სახელმწიფო ინსტიტუტების გამყარება. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკიდან ჩემი გასვლის შემდეგ, ორი წამყვანი სახელმწიფო თანამდებობის პირი შეიცვალა, სახელმწიფო აგრძელებს სტაბილურ ფუნქციონირებას.

3. მნიშვნელოვანია, რომ მმართველი პარტია არ არის დამოკიდებული ცალკეულ პიროვნებებზე და იგი ძლიერია, როგორც ერთიანი გუნდი, რომელსაც უყვარს ქვეყანა, აქვს ღირებულებები და მყარად იცავს სახელმწიფო ინტერესებს. ამ თვალსაზრისით, „ქართული ოცნების“ სრული ანტიპოდია „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც, თავიდან ბოლომდე, მძიმე კრიმინალური წარსულის მქონე, მის ერთპიროვნულ ლიდერზე არის დამოკიდებული. საკმარისია, ეს ლიდერი საჯარო სივრცეს ჩამოშორდეს და მისი პარტია მყისიერად ჩამოიშლება.

ერთ-ერთი მთავარი შედეგი, რასაც „ქართულმა ოცნებამ“ ჩემთან ერთად და პოლიტიკიდან ჩემი გასვლით მიაღწია, სწორედ საქართველოში პიროვნების კულტისა და მესიანიზმის მანკიერი ტრადიციის დასრულებაა.

„ვერსიამ“ აღნიშნული განცხადება ანალიტიკოს ARჩILO GAMZARDIAს შეაფასებინა.

– არჩილ, ოპოზიცია ბიძინა ივანიშვილის განცხადებას სკეპტიკურად შეხვდა. თქვენ რას იტყვით?

– ოპოზიცია შეიძლება, ფიქრობდეს, რომ თეორიულად, ამ ვერსიის დაშვება შესაძლებელია, რადგან ბუნებრივია, როცა ზუსტი მოცემულობა არ ვიცით, ვარაუდების დონეზე ვმსჯელობთ... ისე, ოპოზიციას, ველზე გახარიას შესვლა არც ენდომება, რადგან დამატებითი კონკურენტი ჩნდება, გარკვეული პერსპექტივებით. ამიტომ, ოპოზიცია ამ მოცემულობას, რა თქმა უნდა, ნაკლებად აღიარებს, მით უმეტეს, თუ თვალს საქართველოს უახლოეს პოლიტიკურ წარსულს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ ხელისუფლებებს ცვლიდნენ ხელისუფლებიდანვე წამოსული ლიდერები, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილმა შევარდნაძე შეცვალა...

მართალია, ბიძინა ივანიშვილი არ იყო მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში, მაგრამ მის გვერდით მყოფი ბევრი ადამიანი, თავის დროზე, სააკაშვილის ხელისუფლებაში იყო. ამიტომაც, ოპოზიცია შეეცდება, კონკურენტის პერსპექტივა ნაკლებად დაუშვას, მაგრამ ამის შესაძლებლობა დიდია, რადგან ივანიშვილის განცხადება, ჩემი აზრით, იმით იყო განპირობებული, რომ გახარია დღემდე რაღაცნაირად ცდილობდა, არ ყოფილიყო დაკონკრეტებული, იყო თუ არა ბიძინა ივანიშვილის პროექტი.

დასასრული მე-5 გვერდზე

„პარტიაში ეს აზრი აღმოჩნდა უმცირესობაში“

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

„2021 წლის 3 ივნისს დასრულდა ჩემი 6-წლიანი თანამშრომლობა რესპუბლიკურ პარტიასთან და პარტიის თავმჯდომარეს მივმართე განცხადებით წევრობის დატოვების თაობაზე. მადლობას ვუხდი ყველას იმ მრავალფეროვანი გამოცდილებისათვის, რაც შევიძინე ამ წლების განმავლობაში. ვფიქრობ, პარტნიორ ოპოზიციურ პარტიებთან სამომავლო თანამშრომლობა უნდა გაგვეგრძელებინა რესპუბლიკური პარტიის ორ წევრს უფრაქციოდ/დამოუკიდებლად საქმიანობით. პარლამენტის ტრიბუნიდან თამამი რესპუბლიკური იდეების გახმოვანებით და ბრძოლით. მართალია, არ ვეთანხმები, მაგრამ მესმის რესპუბლიკური პარტიის გადაწყვეტილების. წარმატებებს ვუსურვებ. პარლამენტში საქმიანობას გავაგრძელებ, როგორც უპარტიო და უფრაქციო პარლამენტის წევრი,“ – ამის შესახებ თამარ კორძაიმ სოციალურ ქსელში დაწერა.

პარალელურად, თამარ კორძაიას აწ უკვე ყოფილი თანაპარტიელი, ხათუნა სამნიძე 3 ივნისს, ახალ ფრაქციაში გაწევრიანდა. ფრაქციის წარმომადგენლების თქმით, „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“ მიშელის შეთანხმების დოკუმენტის საფუძველზე დაფუძნდა. ფრაქციაში გაერთიანებულია სამი პარტია და დამოუკიდებელი დეპუტატები: სტრატეგია აღმაშენებელი, გირჩი – მეტი თავისუფლება, რესპუბლიკური პარტია და დამოუკიდებელი დეპუტატები – გრიგოლ ვაშაძე და ტარიელ ნაკაიძე.

გიორგი ვაშაძის თქმით, ფრაქციას უხელმძღვანელებს ხათუნა სამნიძე, თავმჯდომარის მოადგილე პაატა მანჯგალაძე იქნება, ფრაქციის აპარატის უფროსი კი – სერგო ჩიხლაძე.

რა გახდა რესპუბლიკური პარტიიდან წასვლის რეალური მიზეზი? – „ვერსია“-თამარ კორძაიას ესაუბრა.

რეალური მიზეზი, რის გამოც თამარ კორძაიამ რესპუბლიკური პარტია დატოვა

– რესპუბლიკური პარტია ჯერ კიდევ ბლოკის წევრია, ჩვენ ბლოკსა და ყველა ოპოზიციურ პარტიასთან ვთანამშრომლობდით. რესპუბლიკურ პარტიას საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენება იმისთვის შეეძლო, რომ უფრო მკაცრი პოზიციონირება მოეხდინა, შესაბამისად, ორი „რესპუბლიკელი“ უფრაქციოდ ვიმუშავებდით პარლამენტში და თემატურად ვითანამშრომლებდით ყველა ოპოზიციურ პარტიასთან, ვისთან ერთადაც ვიბრძოდით. ეს იყო ჩემი აზრი, შეიძლება, მცდარი, შეიძლება – არა, მაგრამ პარტიაში ეს აზრი აღმოჩნდა უმცირესობაში და ტექნიკური ფრაქცია აღმოჩნდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩემი პოზიცია. ამიტომაც, ჩემი პოზიციიდან გამომდინარე, უნდა მიმეღო ასეთი გადაწყვეტილება.

– ქალბატონო თამარ, ფრაქციას არაერთი სიკეთე აქვს – საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, კვოტების განაწილება და ა.შ. სამნიძის მსგავსად, ყველაფერი ეს თქვენც პრიორიტეტად რატომ არ მიიჩნიეთ?

– იმიტომ, რომ ვფიქრობ, მხოლოდ ტექნიკური საკითხები არაა მნიშვნელოვანი. არსი გაცილებით მნიშვნელოვანია.

– პოლიტიკური თვალსაზრისით, თქვენთვის მიუღებელია ის პარტიები და პოლიტიკოსები, რომლებმაც გუშინ ფრაქცია ჩამოაყალიბეს?

– ჩემი აზრით, პოლიტიკურად მანდ ერთმანეთთან თავსებადი არც ერთი პარტია არაა, თუმცა მათი გადასაწყვეტია, როგორ იმუშავებენ. მაგალითად, ჩემთვის მიუღებელია, როცა ხდება „ნამახვანჰესის“ მშენებლობის მხარდაჭერა და ამიტომ ვფიქრობ, უნდა მივცე საკუთარ თავს თუნდაც ნაკლები ტექნიკური შესაძლებლობების პირობებში თავისუფლება, რათა ვილაპარაკო, რაც მინდა და როგორც მინდა.

– პარლამენტში ნაციონალური მოძრაობა შევიდა. მის ფრაქციაში გაწევრიანებას ხომ არ აპირებთ?

– დღევანდელ განცხადებაში დავწერე, რომ ვიქნები უფრაქციო დეპუტატი.

– ქალბატონო თამარ, თქვენთვის მისაღებია, რომ ფრაქციაში, სადაც თქვენი უკვე ყოფილი თანაპარტიელი, ხათუნა სამნიძე გაწევრიანდა, იქნება გრიგოლ ვაშაძეც, რომელმაც ენმ-ის თავმჯდომარის პოსტი სკანდალურად დატოვა?

– პერსონალურ შეფასებას არ ვაპირებ და ჩემმა გადაწყვეტილებამ, მგონი, ნათელი გახადა... რომ წარმომედგინა, იქ ვიქნებოდი და ხედავთ, რომ არ ვარ იმ ფრაქციაში.

„ამაზე დიდი პოლიტიკური დანაშაული ძნელი წარმოსადგენია!“

მე-4 გვერდიდან

ამიტომ ვფიქრობდით, მისი პირველადი ამომრჩევლის აუდიტორია უნდა წამოსულიყო „ქართული ოცნებიდან“ ანუ „ოცნების“ ამომრჩეველის ნაწილს ჩაეთვალა, რომ ბიძინა ივანიშვილი ფსონს ამჟამინდელ ხელისუფლებაზე კი არა, გახარიაზე დებდა. სწორედ ეს ბერკეტი გამოაცალა ივანიშვილმა, როდესაც თავის ამომრჩეველს უთხრა, გახარია ჩემი პროექტი არაა და ვინც ჩემი ამომრჩეველი ხართ, გახარიას მხარეს არ უნდა წახვიდეთო. ეს იყო, ალბათ, ბიძინა ივანიშვილის მთავარი მოტივი.

მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილმა გაიმეორა ყველა ის განცხადება, რასაც ამბობდნენ კობახიძე და სხვები, რითაც, თავისთავად, გამოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკის პროცესიდან წასული არაა და ამ შემთხვევაში, საქართველო კვლავ ჩრდილოვანი მართვის რეჟიმშია, რადგან თუ პოლიტიკიდან წავიდა, უნდა მიეშვა და ხელისუფლებას ეზრუნა, რომ ყველაფერი ეს, მისი ხელით მომხდარიყო და არა – ბიძინას უშუალო ჩართულობით. ნახა, რომ „ქართული ოცნება“ ვერ ახერხებდა იმ ეჭვის გაქარწყლებას, რომ ივანიშვილის პროექტი არ იყო გახარია და მოუწია თვითონ ჩართვა. შესაბამისად, კარგად ჩანს, რომ ყველაფერი ეს, კვლავ ივანიშვილის ძირითადი პრინციპებით იმართება, მათ შორის, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური სტრატეგიაც.

– როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის ეს განცხადება გახარიას რეიტინგზე როგორ იმოქმედებს? პოლიტიკური ექსპერტები მუდმივად ამბობთ, რომ საზოგადოება მესამე პოლიტიკურ ძალას ელოდებაო და ახლა, როცა გახარია არც ერთ პოლარიზებულ მხარესთან აღარ ასოცირდება, მისი რეიტინგი უფრო არ გაიზრდება?

– ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, გახარიას რა გამოსვლებიც ვნახეთ, ჯერ ოპოზიციური ლიდერის არსით ვერ წარსდგა – ის მაინც ექსპრემიერი იყო. შესაბამისად, გახარია ჯერ უნდა შედგეს ოპოზიციურ პირად, მისი მედიასთან შეხვედრის დროსაც ვნახეთ, რომ ჯერ მენტალურად ოპოზიციურ სუბიექტად არ გამოჩენილა. თუ ის უზრუნველყოფს საკუთარი თავის ოპოზიციურ ლიდერად მოდიფიცირებას, მაშინ ეს განცხადება, რა თქმა უნდა, მისთვის სასარგებლო იქნება, მაგრამ თუ გახარიას ამ წუთამდე ჰქონდა სტრატეგია, რომ იქნებ, ესარგებლა კვლავ ხელისუფლებაში ყოფნისდროინდელი ეფექტით ანუ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველზე ემუშავა, ეს ჯერჯერობით არ წაადგება იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის გზავნილია – ვისაც ივანიშვილი გინდათ, გახარია არ უნდა გინდოდეთ. ამიტომაც, მას დასჭირდება სტრატეგიის შეცვლა და ოპოზიციურ ველზე გასვლა.

ზოგადად, ოპოზიციური ლიდერისთვის ყოველთვის სასურველია, ხელისუფლებისთვის მიუღებელი გახდეს და მასში ხელისუფლების ნარჩენი ვეღარ დაინახონ. ოღონდ ამას, სხვა სამიზნე ჯგუფებთან მუშაობა და სტრატეგია სჭირდება.

ეკონომიკის 44%-იანი ზრდა – რეალობა თუ გაბერილი ციფრები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რაში ადანაშაულებს ეროვნულ ბანკს და რატომ სთხოვს „საქსტატს“ დათვლის მეთოდიკის შეცვლას თემურ ბასილია

საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი გამყარებას განაგრძობს. ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, 8 ივნისს, 1 აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 3.14 ლარზე დაფიქსირდა. პარალელურად, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – „საქსტატის“ მონაცემებით, 2021 წლის აპრილში, ეკონომიკა 44%-ით გაიზარდა. არადა, არც ლარის გამყარება და მით უფრო, არც თვალშისაცემი ეკონომიკური ზრდა ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ უგრძვნია. მოკლედ, ეკონომიკური კეთილდღეობა მხოლოდ ციფრების ბრახა-ბრუხი არ გახლავთ, არც სხვადასხვა მონაცემების გაანალიზებაა გამოსავალი. უმარტივესი შესამოწმებელია და ამისთვის ეკონომიკური განათლება სულაც არ გჭირდებათ: მარტივ ექსპერიმენტს გთავაზობთ, შებრძანდით საკუთარ სამზარეულოში და მაცივრის კარი გამოაღეთ. გარდა ამისა, თქვენივე საბანკო ანგარიში გადაამოწმეთ და მაშინვე მიხვდებით, გაიზარდა ეკონომიკა, თუ პირიქით, ცხოვრება გაგვიძვირდა... „ვერსია“ იმ საჭირო და მარტივ კითხვებს სვამს, რაც ჩვენი ქვეყნის რიგით მოქალაქეებს აწუხებთ – რას ნიშნავს ეკონომიკის 44%-იანი ზრდა, თანაც პანდემიის პირობებში და თუ ეკონომიკა, მართლაც, გაიზარდა, რატომ არ აისახა ეს პროცესი ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეზე? სწორედ ამ კითხვებით მივმართე პროფესიონალ ეკონომისტს თემურ ბასილიას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს.

– ბატონო თემურ, ბოლო დროს საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი აშშ დოლართან მიმართებაში მყარდება, თუმცა ამის მიუხედავად, პროდუქტები არ გაიაფებულა, პირიქით , ცხოვრება ყოველდღიურად ძვირდება. ამას როგორ ხსნით?

– ყველაზე მთავარი მიზეზი, რის გამოც ლარი გამყარდა, რეფინანსირების სესხების რაოდენობაა. ამისთვის სავსებით საკმარისია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებს გავეცნოთ: თუ 2021 წლის აპრილის შუა რიცხვებში ეროვნულმა ბანკმა 3.3 მილიარდი ლარის რეფინანსირების სესხები გასცა კომერციული ბანკებისთვის, ივნისში ეს ციფრი 980 მილიონ ლარამდე ჩამოვიდა ანუ სამჯერ და მეტჯერ შემცირდა. მართალია, ეროვნული ბანკი ცდილობს, დაგვიმტკიცოს, რომ ფულის რაოდენობა არ ახდენს გავლენას ინფლაციასა და გაცვლით კურსზე, მაგრამ ეს სრულიად აბსურდული და სამარცხვინო განცხადებაა. თავმოყვარე ადამიანები და, მით უმეტეს, პროფესიონალები ამ ტიპის განცხადებებს არ უნდა აკეთებდნენ! რეალურად, ყველამ ვიცით, რომ დიახაც, გავლენას ახდენს, რადგან ფულის მასა არის ფულის ღირებულების, გაცვლითი კურსისა და ინფლაციის განმსაზღვრელი, ძირითადი ფაქტორი. გიმეორებთ, ძირითადი მიზეზი, რის გამოც ლარი გამყარდა, რეფინანსირების სესხების მკვეთრი შემცირებაა.

ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება, ამ შემთხვევაში, რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთების ზრდას ვგულისხმობ, რაც ბოლო მონაცემებით, 9.50%-ია, რა თქმა უნდა, მოქმედებს გაცვლით კურსსა და ინფლაციაზე, თუმცა პრობლემის თავი და თავი რეფინანსირების სესხების მკვეთრი შემცირებაა.

– მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე ამიხსენით, რატომ არ აისახება ლარის კურსის გამყარება თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე?

– ეროვნული ბანკის ხელმძღვანელებს ვერ დავაბრალებთ, რომ ეკონომიკა არ იციან. რა თქმა უნდა, იციან და მაკროეკონომიკაშიც კარგად ერკვევიან. სწორედ მათგან მიკვირს საქმისადმი ასეთი უპასუხისმგებლო და არაპროფესიონალური დამოკიდებულება. ალბათ, გახსოვთ, ორი-სამი წლის წინ, როდესაც ლარმა მკვეთრი ვარდნა დაიწყო, სპეციალური კვლევა ჩავატარეთ მე და ჩემმა მეგობრებმა და აშკარად გამოჩნდა, რომ იმ პერიოდში ლარის კურსის ვარდნა რეფინანსირების სესხების მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია. ზოგადად, რეფინანსირების სესხების არსი შევისწავლეთ. ის, რასაც ეროვნული ბანკი აკეთებს საქართველოში და ამას რეფინანსირების სესხს უწოდებს, სინამდვილეში, სულ სხვა სესხები გახლავთ, რომელმაც კომერციული ბანკები უნდა გადაარჩინოს! არანაირი კავშირი ამას რეფინანსირების სესხებთან არ აქვს! რეფინანსირების სესხი ძალიან კარგი იდეაა, მაგრამ ის, რაც საქართველოში კეთდება, რეფინანსირების სესხი არ არის!

ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა რომ დაგვეთანხმოს, უნდა აღიაროს, რომ მისი საზედამხედველო ფუნქცია კომერციულ ბანკებზე უსუსურია! ისიც უნდა აღიაროს, რომ საბანკო სექტორში სერიოზული პრობლემებია, არადა, მართლაც, პრობლემებია! თუ სერიოზული პრობლემაა, მაშინ ეროვნულმა ბანკმა უნდა თქვას, როგორ გამოასწორებს ამ პრობლემას, მაგრამ ამ ხალხს, ვინც დღეს მართავს ქვეყნის მთავარ ბანკს, ამის კომპეტენცია, კვალიფიკაცია და რაც მთავარია, პოლიტიკური ნება არ აქვთ, რომ ასეთი რთული გადაწყვეტილებები მიიღონ. ესაა მიზეზი, რის გამოც არაკვალიფიციური განცხადებების კეთება უწევთ, თითქოს ფულის მასას არავითარი გავლენა არ აქვს ინფლაციაზე. სამიოდე წლის წინ, სწორედ ასე განაცხადა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, არჩილ მესტვირიშვილმა, ხოლო მეორე დღეს, პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ დაადასტურა, რომ ნამდვილად ასეა. არადა, ორივე პროფესიონალი და მცოდნე ეკონომისტია, არცერთი მათგანი არ გახლავთ ზურაბ ადეიშვილის დანიშნული „პროკურორი“ ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში!

– წლებია, ამ პრობლემაზე საუბრობთ, მაგრამ ასე არაფერი გამოვა. აუცილებელია, რომ ჯერ პრობლემა ვაღიაროთ და ამის შემდეგ კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილება განვახორციელოთ ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, არ მეთანხმებით?

– გამოსავალი ის არის, რომ ეროვნულმა ბანკმა რეალობა აღიაროს და ამ რეალობის გადაჭრის გზები უნდა შემოგვთავაზოს! ეს უნდა იყოს ფართო განხილვის საგანი საზოგადოებაში. ეროვნული ბანკის საზედამხედველო ორგანო გახლავთ საქართველოს პარლამენტი და კონსტიტუციის მიხედვით, სწორედ პარლამენტია ვალდებული, განიხილოს ეროვნული ბანკის საქმიანობა.

– ბატონო თემურ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უკანასკნელი კვლევაც განვიხილოთ, რომლითაც მიმდინარე წლის აპრილში, ეკონომიკის 44%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ზოგადად, რას ნიშნავს ეკონომიკური ზრდა? რაც მთავარია, როგორ შეიძლება, 44%-იანი ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობაზე არ აისახოს?!

– ცნობილი მწერალი, მარკ ტვენი ამბობდა, რომ ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს სამი დონის ტყუილთან, ესენია: ტყუილი, დიდი ტყუილი და სტატისტიკა. კარგი ანდაზა გვაქვს ქართველებს – ქოთანს საითაც გინდა, იქეთ მიაბამ ყურს. ახლა, ყველაფერი ეს, ეკონომიკური ზრდის ამ კონკრეტული მაჩვენებლის გათვალისწინებით ავხსნათ – როდესაც 2021 წლის აპრილის მონაცემებს, 2020 წლის აპრილის მონაცემებთან ადარებთ, შეიძლება, 40% და მეტიც გამოიყვანოთ. იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ და რა მეთოდიკით დაითვლით ამ მონაცემებს. თუ გვაინტერესებს, როგორ ითვლება ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებში, აგერ გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი. აშშ მთლიან შიდა პროდუქტს ანუ მშპ-ს ითვლის აშშ-ში წარმოებული და აშშ-ში გაწეული მომსახურების მოცულობით. საქართველოში ასე არ ითვლება, სხვაგვარად თვლიან და აგიხსნით ახლავე. პირობით მაგალითს გეტყვით, საქართველოში, მშპ-ს ითვლიან ავტომობილების იმპორტითა და რეექსპორტით, რაც 6-ჯერ გაიზარდა და მშპ-ს იმ 44%-იან ზრდაშიც აისახა.

სინამდვილეში, ავტომობილების რეექსპორტი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში განხორციელდა იმპორტი ანუ შემოიყვანეს ავტომობილები, დაასაწყობეს და შემდეგ გააგზავნეს აზერბაიჯანში, სომხეთსა და ცენტრალურ აზიაში. ახლა გეკითხებით, რა დამატებითი ღირებულება შექმნა ამან საქართველოში? – არავითარი! შეიძლება, ტრანსპორტირებისა და განბაჟების ხარჯი ჩავთვალოთ, მაგრამ ის, რაც მშპ-ში უნდა აისახოს, მხოლოდ 2-3% გამოვა და არა – 6%. როდესაც რეექსპორტის 6-ჯერ ზრდას ასახავ მშპ-ში, რა თქმა უნდა, უზარმაზარ ციფრს მიიღებთ, რაც სრულიად მოწყვეტილია რეალობას.

მეორე მაგალითსაც გეტყვით: აშშ-ში, 2021 წლის აპრილის მონაცემებს კი არ ადარებენ 2020 წლის იგივე თვის მონაცემებთან, არამედ, 2021 წლის აპრილიდან დაწყებული, გასული 12 თვის მანძილზე არსებულ მონაცემებს ითვლიან მთლიანობაში. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდა აშშ-ში მხოლოდ 6%-ია. საქართველოში მოქმედი მეთოდიკა რომ გამოეყენებინათ, 6%-იანი კი არა, 44%-ზე უფრო შთამბეჭდავი ზრდა დაფიქსირდებოდა. ამერიკელებს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ, რომ სტატისტიკა არ იციან – ძალიან კარგად იციან და სწორადაც ითვლიან.

– იმის თქმა გინდათ, რომ „საქსტატმა“ მონაცემების დათვლის მეთოდიკა უნდა შეცვალოს, რათა რეალური და ზუსტი სურათი მივიღოთ?

– დიახ, რადგან სწორად რომ დაეთვალათ, ეკონომიკის 44%-იანი კი არა, შესაძლოა, 3-4%-იანი ზრდა დაფიქსირებულიყო...

– უკაცრავად, გაწყვეტინებთ, მაგრამ ეკონომიკის 3-4%-იანი ზრდა არ მოეწონებოდა არავის...

– პოლიტიკურ შეფასებას ვერ გავაკეთებ. მხოლოდ ის ვიცი, რომ სტატისტიკის სამსახური, გნებავთ, აშშ-ში და გნებავთ, ევროგაერთიანების ქვეყნებში, დამოუკიდებელი სტრუქტურაა, თუმცა როდესაც უწყების დამოუკიდებლობაზე ვსაუბრობ, მხოლოდ ქაღალდზე არსებულ დამოუკიდებლობას არ ვგულისხმობ, რადგან ქაღალდზე საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაც არ ყოფილა ურიგო. ერთია, რა იწერება ქაღალდზე, მეორე და მნიშვნელოვანია – რა გვაქვს რეალურად! თუ გვინდა, რომ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პროცესებზე ზუსტი სურათი გვქონდეს, „საქსტატი“ რეალურად დამოუკიდებელი უწყება უნდა იყოს, რომელიც თავისუფალი იქნება პოლიტიკური ტენდენციებისა და გავლენებისგან. შეერთებულ შტატებში, მნიშვნელობა არ აქვს, არჩევნებს „რესპუბლიკელები“ მოიგებენ, თუ „დემოკრატები“, სტატისტიკის სამსახური დამოუკიდებელია და ის რეალისტურ სურათს დებს, ამიტომ ამ მონაცემების სისწორეში, ეჭვი არც მმართველ და არც ოპოზიციურ პარტიას არ შეაქვს.

ხე-ტყის უკანონო ჭრით სახელმწიფომ 20 მილიონი ლარი დაკარგა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ხე-ტყის კომერციული და სოციალური მართვით დაინტერესდა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ხე-ტყის კომერციული და სოციალური მართვით დაინტერესდა. აუდიტის ანგარიშში, რომელიც უწყებამ გამოაქვეყნა, სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები გამოვლინდა, რაც ტყის მართვის, მონიტორინგისა და დაცვის ფუნქციების შესრულების ნაწილში არსებულ სისტემურ ხარვეზებს უკავშირდება. უფრო კონკრეტულად, სახელმწიფო აუდიტორებმა ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები გამოავლინეს. მათივე განცხადებით, ხე-ტყის კომერციულ და სოციალურ მართვაში არსებულ, სისტემურ ხარვეზებს სათანადო რეაგირება სჭირდება. რაც მთავარია, აუცილებელია, რომ ხარვეზების აღსაკვეთი მექანიზმებიც დაინერგოს.

ვიდრე კონკრეტულ დარღვევებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხე-ტყის რესურსების არარაციონალური გამოყენება ართულებს ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დაცვას. თავის მხრივ, ეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკოსისტემების განვითარებას და ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასაც. ტყის რესურსების დაცვა განვითარებული ქვეყნებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, სადაც ერთობლივი და თანმიმდევრული აქტივობების შედეგად, დასახული მიზანი მიიღწევა.

„ხე-ტყის უკანონოდ მოპოვების ფაქტები, რომელიც კვლავ არ კარგავს აქტუალობას, მნიშვნელოვნად უკავშირდება ტყის რესურსების კონტროლის სისტემის ნაკლოვანებებს. სააგენტოს აღარ აქვს უკანონო ჭრების გამოვლენისა და მათზე რეაგირების უფლებამოსილება, ხოლო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ) მრავალფუნქციური დატვირთვისა და ადამიანური რესურსის სიმცირის გამო, აკონტროლებს მხოლოდ ტყეში შესასვლელ/გამოსასვლელ გზებს, რომელთა შორის მანძილი, დაახლოებით, 30 კმ-ია. შედეგად, არ არის უზრუნველყოფილი ტყის სრულყოფილი კონტროლი“, – ვკითხულობთ აუდიტის ანგარიშში.

სინამდვილეში, ტყეების სრულ მონიტორინგსა და კონტროლს ტყის მცველები უნდა ახორციელებდნენ, ოღონდ შესაბამისი ფართობების დაქვემდებარებით. ამავდროულად, ფიზიკურ დაცვასთან ერთად, კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლოა, სხვადასხვა დაცვითი და სამეთვალყურეო ტექნიკაც გამოიყენონ. გარდა ამისა, არსებობს რისკი, რომ სათანადოდ არ ხორციელდება სოციალური ჭრების ფარგლებში გამოყოფილი ტყეკაფების მონიტორინგი, რაც სააგენტოს არასაკმარის რესურსებს უკავშირდება. საბოლოოდ, ყველაფერ ამის გამო, ხე-ტყის უკანონოდ მითვისების შესაძლებლობები და ეკოსისტემების დაზიანების რისკები იზრდება, ხოლო მისაღებ შემოსავლები კი პირიქით – მცირდება. სახელმწიფო აუდიტორების მიერ გამოვლენილი უკანონო ჭრების შედეგად, 2017-2019 წლებში, სახელმწიფო 20 მილიონი ლარით დაზარალდა.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ტყეების სისტემატური ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ მდგომარეობის შესახებ სააგენტო არასრულყოფილ ინფორმაციას ფლობს. თავის მხრივ, ყოველივე ეს, ტყის გრძელვადიანი და რაციონალური გამოყენების დაგეგმვას ართულებს.

„გაზიფიცირებული სოფლების მატების მიუხედავად, მოსახლეობის უმეტესობისთვის შეშა კვლავ გათბობის ძირითადი წყაროა. არსებული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ტყეკაფების გამოყოფას, სადაც მოსახლეობამ საკუთარი ძალებით უნდა უზრუნველჰყოს შეშის მოპოვება, შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს. მოსახლეობა სრულად არ ითვისებს გამოყოფილ რესურსს, თუმცა ამავდროულად, კვლევების მიხედვით, რეალური მოხმარება მნიშვნელოვნად აღემატება გამოყოფილი რესურსის მოცულობას. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ მოსახლეობა შეშის მოსაპოვებლად მიმართავს უფრო მარტივ საშუალებას, როგორიცაა, არალეგალური შესყიდვა ან მოპოვება, რაც რისკის ქვეშ აყენებს ტყის მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს“.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ ლიცენზიანტები სალიცენზიო პირობებს არ ასრულებენ. შედეგად, 2017-2019 წლებში, გარემოს 5 200 000 ლარის ზიანი მიადგა. ამავდროულად, ორი ლიცენზია გაუქმდა.

„გზდ-ის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ქმედების მიუხედავად, ლიცენზიანტების მიერ ტყისთვის მიყენებული ზიანის მინიმუმამდე შემცირება მაინც არ არის უზრუნველყოფილი. ზიანისთვის გადახდილი ჯარიმის თანხა მიემართება ბიუჯეტში და ნაწილდება სხვადასხვა პროექტსა თუ პროგრამაზე. შედეგად, აღნიშნული რესურსი არ გამოიყენება ტყის ფართობების აღსადგენად. უმეტეს შემთხვევებში, მართვის გეგმები არ ითვალისწინებს ტყით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ტერიტორიაზე უკანონო ჭრის ფაქტების დაფიქსირების შემდგომ, ტყის საკომპენსაციო აღდგენით ღონისძიებებს. მეტიც, მართვის გეგმებში, ლიცენზიანტებმა ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის აქტივობების გასაუმჯობესებლად, გარკვეული ცვლილებები არ განახორციელეს“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სააგენტოს მერქნული რესურსის ის ოდენობაც კი არ აქვს სრულად დადგენილი, რომლის მოხმარება ტყის შემცირებას არ გამოიწვევს. ზოგადად, საჯარო დაწესებულებების მიერ, სააგენტოსთვის საშეშე რესურსის დაუსაბუთებელი მოთხოვნა, მათ მიერ, სწორედ ამ რესურსის არარაციონალურად გამოყენების რისკებს ზრდის, რაც ტყის ეკოსისტემებზე ნეგატიურად აისახება. აუდიტის ანგარიშის მიხედვით, ზოგიერთ საჯარო სკოლაში ისეთი შემთხვევებიც დაფიქსირდა, როდესაც ალტერნატიული ენერგორესურსის არსებობის შემთხვევაში, პრიორიტეტი მაინც საშეშე რესურსის მოხმარებას ენიჭებოდა.

„საქართველოში არსებობს ხე-ტყის ჭრის შედეგად ნარჩენი მერქნული რესურსით ბიოსაწვავის წარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალი, თუმცა ამ რესურსის გამოყენება დაიწყო 2020 წელს და მოიცვა მხოლოდ კახეთისა და ქვემო ქართლის გარკვეული სატყეო მონაკვეთები. მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს ადგილობრივი რესურსებით ბიოსაწვავის მიღების პოტენციალის ზრდას, რაც, გარკვეულწილად, შეამცირებს შეშაზე მოთხოვნასაც და იმპორტირებული ბუნებრივი აირის მოხმარებასაც. იმავდროულად, ტყის რესურსების განვითარებას შეუწყობს ხელს“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც დაადგინეს, რომ მერქნული რესურსის რეალიზაციის მიზნით გამოცხადებული აუქციონების 37% ჩაიშალა. შედეგად, დროთა განმავლობაში, ხორციელდებოდა რესურსის გადახარისხება, რაც უკვე შეფასებულ, თავდაპირველ ღირებულებას და შესაბამისად, მისაღები შემოსავლების ოდენობას საგრძნობლად ამცირებდა. სახელმწიგო შესყიდვებში, ამ შემთხვევაში, აუქციონებზე, კიდევ ერთი ხარვეზი გამოვლინდა – განმეორებითი რეალიზაციის შემთხვევებში, გასაყიდი მასალის ხარისხისა და ფასის კლების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ სააგენტო, ბაზარზე მოთხოვნილზე მეტ რესურსს ამზადებდა, რაც, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, არასისტემურ მიდგომაზე მიუთითებს.

რა დაავადებებს იწვევს უეცარი შიში

ია გრიგალაშვილი

შიშის ანატომია და ნევროლოგის რჩევები

ადამიანს ბევრი დაბრკოლების გადალახვა და უამრავი განსხვავებული ემოციის განცდა უწევს. ზოგი მათგანი დადებით, ზოგი კი უარყოფით შეგრძნებებს იწვევს. თითოეული ემოცია და ფაქტი შესაძლოა, ნებისმიერ წუთს ჩვენი მომავლის, ან ჯანმრთელობის განმსაზღვრელი გახდეს. ერთ-ერთი ასეთი ემოცია შიშია. სპეციალისტების განმარტებით, ესაა თანდაყოლილი, ბაზისური ემოცია, რომელიც ადამიანს გარე ფაქტორებისგან იცავს. ერთი მხრივ, შესაძლოა, შიშმა ადამიანი ქმედითი გახადოს, მეორე მხრივ კი – ფსიქოლოგიურად დათრგუნოს ან მის ჯანმრთელობას სხვა სახის პრობლემები შეუქმნას. შიში ადამიანში სხვადასხვა მიზეზით ჩნდება, თუმცა მთავარია, რა სახისა და სიძლიერისაა ეს ემოცია კონკრეტულ სიტუაციაში. მაგალითად, უეცარმა და ძლიერმა შიშმა, შესაძლოა, მძიმე ფსიქოლოგიური აშლილობა ან სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს. ალბათ, ყველას გინახავთ იუმორისტული გადაცემები, სადაც ადამიანებს უეცრად აშინებენ და შემდგომ, მათ რეაქციაზე ხუმრობენ. არადა, მსგავსი ქმედება დაუშვებელია, რადგან გამორიცხული არაა, რომ უნებლიედ, ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნას. სამწუხაროდ, მსგავს შემთხვევებს არავინ აკონტროლებს და უეცარი შიშისგან დაზღვეულები არასდროს ვართ.

რა სახის ემოციაა და რა დაავადებები შეიძლება მოჰყვეს შიშს? – „ვერსია“ მედიცინის დოქტორს, ნევროლოგ მაპა მანიას ესაუბრა:

– შიში ისეთი ემოციაა, რომლის თავდაპირველი არსი დამცველობითი ბუნებისაა. არსებობს პირველადი შიში, რომელიც ჩვენში თავდაცვისა და ადაპტაციისთვის, იმთავითვე ჩადებულია. მაგალითად, დაბადებიდანვე, ახალშობილი ისეთი სახის შიშს ატარებს, როგორებიცაა ხმაური და ვარდნა. პირველადი შიშის მაგალითია, ასევე, შიში გველის დანახვისას. ეს ემოცია (შიში) ტვინში გადამუშავდება, ფორმირდება და მონაწილეობს დასწავლა-ცნობიერების პროცესებში. შედეგად, ისეთი რთული სახით გვევლინება, როგორიცაა შიში, რომელიც აღმოცენდება ხალხმრავალ ადგილას, პატარა ბავშვის დაკარგვის დროს. არსებობს ირაციონალური შიში, რომელიც მნიშვნელოვანი ლოგიკის გარეშე ჩნდება. ასეთი შიში ყველას არ აქვს, ვგულისხმობ, სტომატოლოგთან ვიზიტის შიშს, თუმცა ყველა ირაციონალურ შიშს აუცილებლად ახლავს რაციონალური კომპონენტიც. ამ შემთხვევაში, სტომატოლოგთან ვიზიტის შიში წარმოადგენს ტკივილის მიმართ შიშის ირაციონალურად გაზვიადებულ სახეს. რაც შეეხება ფობიას, ესაა მაღალი ინტენსივობის ირაციონალური შიში.

– ქალბატონო მაკა, რა ხდება ადამიანის ორგანიზმში, როდესაც შიში ეუფლება?

– შიში ადაპტაციური ემოციაა. ასე, მაგალითად, მოულოდნელი და უკიდურესად ძლიერი ხმაურის მიმართ შიში ნორმალური ემოციაა, რომელიც ჩვენში დამცველობითი რეაქციების მობილიზებას იწვევს, რადგან ასეთმა მოულოდნელმა და ძლიერმა ხმაურმა, შესაძლოა, პოტენციურად დაგვაზიანოს. მაგალითად, მეხის გავარდნის ხმა, მძიმე საგნის სიმაღლიდან ვარდნის ხმა, ტყვიის გავარდნის ხმა და სხვა. ასეთი ხმების მოსმენა ჩვენში აღძრავს შიშს და ისეთ დამცველობით რეაქციებს ქმნის, როგორებიცაა: ა) სხეულისა და კიდურების მოხრა – ჩვენ უნებლიედ მოვიკუნტებით, რათა გაუცნობიერებლად დავიცვათ ჩვენი სხეული დაზიანებისაგან; ბ) სიმპათიკური ნერვული სისტემის სტიმულირება – მატულობს გულისცემა და არტერიული წნევა, რათა მზად ვიყოთ გაქცევისთვის, ბრძოლისა და სხვა სახის დიდი ძალისხმევის მატარებელი აქტივობებისთვის.

სიმპათიკური ნერვული სისტემის აქტივაციას ახლავს მადის დაქვეითება, ნაწლავთა მოტორიკის დათრგუნვა და დიურეზის დაქვეითება. ეს იმას ნიშნავს, რომ ექსტრემალურ მდგომარეობაში, როცა თავდაცვაა საჭირო, ჩვენი ნერვული სისტემა თრგუნავს შიმშილს, კუჭის მოქმედებას ადა შარდვის ფუნქციას, რაც დამეთანხმებით, ხელს შეუშლიდა ადამიანს თავდაცვის განხორციელებაში.

– უეცარმა შიშმა რა დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს?

– უეცარი შიში, შესაძლოა, მძიმე ფსიქოლოგიური აშლილობის მიზეზი გახდეს. შიშთან თანხლებულ ნეგატიურ ემოციას შეუძლია ისეთი დაავადებები გამოიწვიოს, როგორებიცაა ფობიური აშლილობა, პანიკური შეტევები, გენერალიზებული შფოთვითი აშლილობა, სომატომორფული ავტონომიური დისფუნქცია და სხვ. ბუნებრივია, ყველა სახის შიში არ იწვევს პათოლოგიას. მნიშვნელობა აქვს შიშის ინტენსივობას, მის ჯერადობას, ასევე, იმ პიროვნების თავისებურებებს, რომელმაც განიცადა შიში. ერთჯერადი ძლიერი სტრესული ფაქტის შემდეგ, ისეთი ფსიქოლოგიური აშლილობები ჩნდებიან, როგორებიცაა მწვავე სტრესული აშლილობა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა. მისთვის დამახასიათებელია უკვე მომხდარი სახიფათო ფაქტის მტანჯველი გახსენება თვალწინ, რეალურ, ცოცხალ კადრებად, ასევე, უკვე განვლილი მძიმე გამოცდილების თავიდან განცდა, აკვიატებული აზრები, აკვიატებული კადრები, ღამის კოშმარები, ოფლიანობა, გულისფრიალი, ფიზიკური ტკივილი და სხვა.

ფსიქოლოგიური აშლილობის გარდა, შესაძლოა, შიშს მრავალი სომატური პათოლოგიაც დავუკავშიროთ. მაგალითად, კარგადაა ცნობილი მწვავე სტრესული წყლულები. მრავალჯერადი ეპიზოდური შიშის დროს, იზრდება არტერიული ჰიპერტენზიის, გულ-სისლხლძარღვთა დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის, სიმსივნეებისა და სხვა დაავადებების რისკებიც.

– ყველაზე მეტად რა ასაკისა და მდგომარეობის ადამიანებისთვისაა უეცარი შიში საფრთხის შემცველი?

– უეცარი შიში ყველა ასაკის ადამიანს წარუშლელ დაღს ასვამს და ყველა ასაკისთვის მავნებელია. ამასთან, უეცარ შიშზე რეაქცია, შეიძლება, ასაკის მიხედვით ვარირებდეს. ასე, მაგალითად, ლოგონერვოზი (ენაბორძიკობა), რაც ბავშვთა და ახალგაზრდა ასაკში, ძლიერი, უეცარი შიშის შემდეგ ჩნდება. ვფიქრობ, ეუცარი შიშის შედეგად, უფრო მეტად ითრგუნებიან ადამიანები პიროვნული თავისებურებების მიხედვით და არა ასაკის გამო. სტრესის მიმართ რეზისტენტობის ზღურბლი ინდივიდუალურია.

– თუ გყოლიათ პაციენტები, რომლებისთვისაც უეცარ შიშს რამე ავადმყოფობა გამოუწვევია?

– დიახ, რა თქმა უნდა. როგორც წესი, ფსიქოლოგიური აშლილობებით მომმართავენ ხოლმე. ხშირია ისეთი ფობიებით მომართვიანობაც, როგორებიცაა ნოზოფობია (დაავადებების მიმართ შიში), თანატოფობია (სიკვდილის შიში), აეროფობია (ფრენის შიში) და სხვ.

– საზიანოა თუ არა იუმორისტული სახის გადაცემები, სადაც ადამიანებს უეცრად აშინებენ?

– როგორც ყველა სახის ემოცია, შესაძლოა, შიშის ინტენსივობაც იყოს მსუბუქი, საშუალო და მძიმე. ბუნებრივია, დაუშვებელია საშუალო ან მძიმე ინტენსიობის შიშის პროვოცირება ადამიანებში, თანაც გართობის მიზნით. მსუბუქი ხუმრობა დასაშვებია შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით. მინიმალური შიშის შემცველი თამაშები საკმაოდ ხშირად გამოიყენება ბავშვებთანაც კი, თუმცა დიდი სიფრთხილე და ზომიერებაა საჭირო, რათა უბელიედ, ბავშვების ფსიქიკა არ დავაზიანოთ. მაგალითად, „გუდიანი კაცის“ მითი განვიხილოთ, რომელიც მოვა, თუ ბავშვი საჭმელს არ შეჭამს, ასევე, მშობლის მიერ მორგებული როლი, რომ „გუდიანი კაცი“ ბავშვს მოიტაცებს და შეჭამს. ერთი შეხედვით, უნებლიე და სახალისო თამაშები, შესაძლოა, ბავშვისთვის ტრავმული აღმოჩნდეს და მომავალში, ფსიქიურ აშლილობებს შეუწყოს ხელი.

– შიშით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის გარდა, ფსიქოლოგთან კონსულტაციაც აუცილებელია?

– ფსიქოლოგიური აშლილობების მართვის დროს, ფსიქოლოგთან ხშირი და სისტემატური სეანსები ძალიან მნიშვნელოვანია. მსუბუქ შემთხვევებში, მაგალითად, მსუბუქი დეპრესიული ეპიზოდის დროს, სრულიად საკმარისია მხოლოდ ფსიქოთერაპიული კურსები. უფრო რთული აშლილობების დროს, სასურველია მედიკამენტური თერაპიისა და ფსიქოთერაპიის კომბინირება.

სამართალი

№19 9 ივნისი 2021 წ

სამი შვილის დედა ჯერ გააუპატიურეს და მერე „ატვიორტკით“ მოკლეს

როგორ გადაურჩა გაუპატიურებას და როგორ იძია შური იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა გოგომ

ბათო ჯაფარიძე

იმის მიუხედავად, რომ ადრე, სოფლად ბევრად მეტი ადამიანი ცხოვრობდა და ნასოფლარიც უცხო სიტყვა იყო, ქალაქიდან ჩასულ ადამიანებს მაინც განსაკუთრებულად აკვირდებოდნენ. „ჭიანი ქალაქელი ბავშვები“ – ხშირად გაიგონებდით ამ სიტყვებს, რადგან სოფფელში, მართლაც, გაკაჟებული და უფრო ჯანმრთელი თაობა იყო. სამწუხაროდ, დღეს სოფელი ცოტას თუ ახსოვს და საუკეთესო შემთხვევაში, იქ ზაფხულობით ჩადის დასასვენებლად. აღარც ბებიები არიან იმ ტრადიციული გაგებით, როგორც ადრე იყვნენ, შოთის პურს რომ ჩააკრავდნენ თონეში და შვილიშვილებს, ჭყინტ ყველთან ერთად, ხელში სურნელოვან, ორთქლიან ნაჭერს ჩაუდებდნენ.

ჰოდა, ერთ-ერთ ასეთ სოფელში, საღამოს 10.00 საათზე, წითელ პალტოსა და კაბაში გამოწყობილი ქალი რომ გამოჩნდა, ყველა იმ ადამიანის ყურადღება მიიპყრო, ვინც იმ დროს გარეთ იყო. მოგეხსენებათ, ათ საათზე, ზამთარში, გვარიანი ღამეა, მაგრამ დათოვლილ გზაზე, მთვარის ანარეკლზე, ყაყაჩოსავით მოსჩანდა წითლებით შემოსილი ქალი. მხოლოდ ერთმა მეზობელმა დააფიქსირა, რომ უცხო სტუმარი სოფლის განაპირას მდგარ სახლთან გაჩერდა, ჯერ იყოყმანა, მერე ხის პატარა კარი შეაღო და ეზოში შევიდა. იმ სახლში მარტოხელა, 45 წელს მიტანებული კაცი ცხოვრობდა.

„სასწრაფოდ უნდა გაემგზავრო სოფელში, სამი შვილის დედა იპოვეს მკვდარი. მთელი სოფელი ყალყზე დგას, ჩვენთან მკვლელი არავინაა, სასწრაფოდ იპოვეთ და სოფელს ნამუსი მოსწმინდეთ. ამიტომ, გადადე ყველა საქმე, წადი და კვირის ბოლომდე, გახსნილი საქმე მაგიდაზე მედოს – ასე მითხრა სამმართველოს უფროსმა ორშაბათის თათბირზე და მეც იძულებული გავხდი, იმავე დღეს, სოფლად წავსულიყავი ანუ იქ, სადაც არავის ვიცნობდი და ერთი ოპერმუშაკის გარდა, არც არავინ გამაყოლეს“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილის ექსპერტიზა რაიონულ ცენტრში უკვე ჩატარებული ჰქონდათ. ექსპერტის დასკვნით, ქალს გულ-მკერდის არეში, „ატვიორტკით“ სამი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, გაძარცვული არა, მაგრამ გაუპატიურებული იყო. სანამ გამომძიებელი საეჭვო პირების სიას გადახედავად, მასთან სოფლის მაცხოვრებელი მივიდა და უთხრა, როგორ დაინახა ქალი იმ ეზოში შემავალი, სადაც მარტოხელა კაცი ცხოვრობდა. სამართალდამცავები მასთან წავიდნენ და სახლში შამპანურის ორი ცარიელი ბოთლი, შოკოლადის ფილა და სხვა ნუგბარი ნახეს, ისეთი, სოფლის მაცხოვრებლისთვის რომ უჩვეულოა.

კაცს საშინაო ტანსაცმელი ეცვა და ფეხთან, შარვალზე, სისხლის წვეთები უჩანდა. რაღა თქმა უნდა, ის დააკავეს და ადგილობრივ განყოფილებაში გადაიყვანეს.

„ეს ქალი ზაფხულში, სანატორიუმში გავიცანი, ბავშვებთან ერთად ისვენებდა. მომეწონა, მოვეწონე, ქმარი არ ჰყავდა, მაგრამ თან სამი შვილი ახლდა. მერე მისამართები გავცვალეთ და წერილებს ვწერდით. ბოლოს მომწერა, თუ დამპატიჟებ, ჩამოვალო. დავპატიჟე ზრდილობის გულისთვის, რას ვიფიქრებდი, თუ მართლა ჩამოვიდოდა და მორიგ წერილში რიცხვი მითხრა, მანდ ვიქნებიო. მოვემზადე, შამპანური და შოკოლადი ვიყიდე, ქალაქელი ქალისთვის სხვა რა უნდა შემეთავაზებინა, არ ვიცოდი. ქათამიც დავკალი, მაგრამ მერე გადავიფიქრე. საღამოს მართლა მოაკაკუნა და... კარი ვერ გავუღე. შემეშინდა, ვიფიქრე, თუ შემოვა, მერე აღარასოდეს წავა, სამ შვილსაც აქ ჩამოიყვანს, მე კიდევ არც მაგათი რჩენის თავი მქონდა და არც – სურვილი. ბავშვები რომ მდომოდა, ცოლს მოვიყვანდი, არ შემიძლია ბავშვების ტირილისა და ჭიჭყინის ატანა. იმან, დაახლოებით, 10-15 წუთი აკაკუნა, კარი რომ არ გავუღე, გატრიალდა და წავიდა. ცხელ გულზე, შამპანური გამოვცალე და დასაძინებლად დავწექი, დილით კი თქვენ მოხვედით და დამაკავეთ“, – ასეთი იყო ეჭვმიტანილის ჩვენება.

ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ შარვალზე სისხლის ლაქები ქათმის იყო, ხოლო მის ორგანიზმში, განსხვავებით ქალის ორგანიზმისგან, ალკოჰოლის საკმოდ დიდი დოზა გახლდათ. რაც მთავარია, გამოჩნდა მოწმე, რომელმაც დაინახა, რომ დაახლოებით, 11.00 საათისთვის, ქალი სოფლიდან გასასვლელ გზაზე მიდიოდა ანუ ის იმ სახლიდან, სადაც სტუმრად მიდიოდა, ცოცხალი წავიდა.

ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ სოფელში ნასამართლევი არავინ იყო. შესაბამისად, ეჭვის მიტანა ვინმეზე ძალიან რთული იქნებოდა, მაგრამ ისიც ფაქტი იყო – ქალი სოფლიდან არ გასულა. სხვა სოფლამდე მისასვლელად, 4 კილომეტრი დაგჭირდებოდათ, ამიტომ ძნელი წარმოსადგენი გახლდათ, რომ იმ დროს, სხვა სოფლიდან ვინმე ამ სოფელში შემოსულიყო, ქალი მოეკლა და ისე წასულიყო, არავის დაენახა. უცხო მანქანას მაშინვე შენიშნავდნენ, ასეთი რამ კი არავის დაუნახავს. სამაგიეროდ, რამდენიმე ადამიანმა დაინახა, რომ 11.00 საათისთვის, სოფლელების სამი მანქანა მოძრაობდა და მათგან ერთი, სწორედ იმ გზაზე გავიდა, საიდანაც ქალი გაქრა. მანქანის მძღოლი 23 წლის დედისერთა ბიჭი გახლდათ, განებივრებული და საკმაოდ შეძლებული მშობლებით. იმის მიუხედავად, რომ ბიჭს არაფერი აკლდა, კოლმეურნეობაში მაინც მუშაობდა, ყველას ეხმარებოდა და სოფელს მასზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. უფრო მეტიც, ვის აღარ ურიგებდნენ, თუმცა ბიჭი ცოლის მოყვანას არ ჩქარობდა.

გამოძიებამ ის მაინც დაკითხა და აღიარა, უბრალოდ, მანქანით ვსეირნობდი, ყველამ იცის, ღამით ხშირად დავდივარო და ეს სხვებმაც დაადასტურეს. ბიჭმა ქალის დანახვა უარყო, არ შემინიშნავს, თორემ წითელ პალტოში როგორ ვერ შევამჩნევდიო.

„ყველა იმედი გადამეწურა. გადავატრიალე იქაურობა, ჩუმ-ჩუმად, ფულად ჯილდოსაც დავპირდი მას, ვინც გამოძიებას ხელს შეუწყობდა, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. ბოლოს, არარეალური თანხაც ვთქვი – ათი ათასი მანეთი, მაგრამ ამასაც არავინ გამოეხმაურა. სოფელი, პირიქით, ჩვენ „გვაწვებოდა“, გამოიძიეთ საქმე, მკვლელი დააკავეთ, რათა ყველამ გაიგოს, რომ აქ მკვლელები არ ცხოვრობენ და ვიღაც სხვამ მოკლაო. რა უნდა მექნა? ერთ კვირაში, პირში ჩალაგამოვლებული დავბრუნდი თბილისში“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან ერთი თვე იყო გასული, როცა იმავე სოფლის მიმდებარედ, ახალგაზრდა გოგოს გაუპატიურება სცადეს. გოგონა სტუმრად იყო ჩასული, საღამოს ტყის პირას გაისეირნა, დათოვლილი ხეების ნახვა მინდაო და თავსაც სწორედ იქ დაესხნენ. მოძალადემ საწადელს ვერ მიაღწია, გარდა იმისა, რომ გოგო გაუძალიანდა, ყვირილიც დაიწყო. გაქცევამდე, თავდამსხმელმა „ატვიორტკა“ ამ შემთხვევაშიც მოიქნია, თუმცა ზამთრის ტანსაცმელში ვერ გაატანა. რა თქმა უნდა, დაზარალებული სასწრაფო წესით თბილისში გადმოიყვანეს და ის ბატონმა თენგიზმა დაკითხა.

„რაღაცნაირი, უცნაური მეჩვენა ეს გოგო. იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო, გამომძიებლობა სურდა, აი, სისხლით რომ არიან გამომძიებლები, ისეთი იყო, შემართება ჰქონდა და ყველაფერ ამის მიუხედავად, ძალიან მშრალი ინფორმაცია მომაწოდა. არ დამინახავს სახე, არც ის მახსოვს, რა ეცვა, შემეშინდაო... არადა, არ ჰგავდა მშიშარას. ათასნაირად მივუდექი, თუმცა პირველ ჩვენებას მიაწვა, აღარაფერი შეცვალა და არც ჩვენებებში აიხლართა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გოგონა საავადმყოფოში დიდხანს არ გააჩერეს, არც ფსიქოლოგიური პრობლემები ეტყობოდა და შინ მშვიდად გაუშვეს. იმავე საღამოს, ბატონ თენგიზს სოფლის ოპერრწმუნებულმა დაურეკა, რომელმაც შეატყობინა, რომ დაზარალებული გოგო სოფელში გამოჩნდა და ერთ-ერთ ბიჭს, რკინის კეტით საშინლად სცემა.

„რაღა თქმა უნდა, სოფელში წავედი. დაზარალებული ის დედისერთა, მშობლებისგან განებივრებული ბიჭი იყო, თავდამსხმელი – გოგო. როგორც აღმოჩნდა, მან იცნო თავდამსხმელი და თავად გადაწყვიტა შურისძიება. ექსპერტებმა ბიჭს არა მხოლოდ სპერმის ანალიზი აუღეს, არამედ, მისი მანქანაც შეამოწმეს და უკანა სავარძელზე სისხლის ლაქები იპოვეს. სისხლი მოკლული ქალის ჯგუფს 100 პროცენტით დაემთხვა. დაკითხვაზე ბიჭმა მკვლელობა აღიარა და თქვა, რომ ახლაც არ იცის, რატომ მოექცა იმ ქალს ასე. თქვა, რომ თავი ვერ შეიკავა, მანქანით ცენტრამდე მიყვანას დაპირდა, მერე გააუპატიურა და ბოლოს, შიშისგან მოკლა. მერე კი, როცა ერთი გაუპატიურება და მკვლელობა შერჩა, „მადა გაეხსნა“ და მეორე გაუპატიურება სცადა, რაც არ გამოუვიდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

პროკურორმა დაკავებულისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მოითხოვა, მაგრამ მოსამართლემ მხოლოდ 15 წელი აკმარა. ჩვენს მთხრობელს ეჭვი აქვს, რომ მშობლებმა ფინანსები არ დაიშურეს, რათა სასჯელის უმაღლესი ზომა არ დამდგარიყო.

რაც შეეხება გოგოს... ორი წლის შემდეგ, მას სამსახურის დაწყებაში რეკომენდაცია განსაკუთრებულ საქმეთა მთავარმა გამომძიებელმა, ბატონმა თენგიზმა გაუწია.

მძევლად აყვანილი ბავშვები და საბჭოთა კავშირიდან გაქცევის სკანდალური ქრონიკა

ბათო ჯაფარიძე

რომელი ქვეყნის თავდაცვის მინისტრს მისცეს ქრთამი – ერთი მილიონი საბჭოთა კრიმინალებმა

ალბათ, არ არსებობს საქართველოში ადამიანი, ვისაც ე.წ. თვითმფრინავის ბიჭებზე რამე არ სმენია. საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი ტერორისტებად მონათლა და სასჯელის უმაღლესი ზომაც მიუსაჯა. ეს, „რკინის ფარდად“ წოდებული საბჭოთა კავშირის საზღვრის დატოვების არც პირველი მცდელობა იყო და არც – ბოლო. ძალიან ბევრს სურდა საზღვარგარეთ წასვლა და ამის გამო, ხშირად, უკანონო გზებსაც მიმართავდა. სხვათა შორის, საბჭოთა ძალოვნები ყველა მცდელობას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სისხლში ახრჩობდნენ. მათ შორის, ყველაზე ცნობილი მაინც ოვეჩკინების საქმე იყო – დედამ, შვილებთან ერთად, „ტუ-154“-ის გატაცება გადაწყვიტა. ლაინერი სამხედრო აეროდრომზე დასვეს და შტურმის შედეგად, ოვეჩკინების ოჯახის 5 წევრი და 4 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. ეს 1988 წლის 8 მარტს მოხდა. ასევე, შტურმის დროს, ხელნაკეთი ბომბი აფეთქდა, რის გამოც ლაინერი მთლიანად დაიწვა. მაშინ საბჭოთა ხელისუფლება კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. შესაბამისად, საჭირო იყო მიდგომის შეცვლა, მაგრამ როგორ? – ეს, სავარაუდოდ, არავინ იცოდა.

იმავე, 1988 წლის 1 დეკემბერს, აქვე, საქართველოს საზღვართან ახლოს, ვლადიკავკაზში (მაშინდელი ორჯონიკიძე), 42-ე სკოლის მეოთხე კლასის ბავშვები ექსკურსიაზე, ერთ-ერთ საამქროში წაიყვანეს. იქიდან გამოსული ბავშვების წინ ავტობუსი გაჩერდა, რომლის მძღოლმაც მასწავლებელს უთხრა, რომ ის ავტობუსი, რომლითაც ადგილზე მივიდნენ, გაფუჭდა და მის ნაცვლად, ახალი გააგზავნეს. ტრანსპორტში ასულ ბავშვებს კიდევ სამი მამაკაცი დახვდათ, თუმცა მძღოლმა მშვიდად თქვა, მეგობრები არიან, მალე ჩავლენო. ავტობუსის კარი დაიხურა, 100 მეტრი გაიარა და... მამაკაცებმა „აბრეზები“ ამოიღეს და ხმამაღლა თქვეს, რომ ბავშვებიცა და მასწავლებლებიც მძევლები იყვნენ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავარდებოდნენ მეოთხეკლასელები? ავტობუსის გამტაცებლებმა ყოველ მეორე სკამს შუშის 3-ლიტრიანი ქილა მიაბეს და ბენზინით გაავსეს, შემდეგ კი ავტობუსი ვლადიკავკაზის მთავარ შენობას მიადგა, იმას, სადაც ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ცეკა-ს პირველი მდივანი იჯდა.

ერთ-ერთი ტერორისტი ავტობუსიდან გადმოვიდა, იქვე მდგარ მანქანას მიუახლოვდა, მძღოლს ხელში „აბრეზიდან“ ესროლა, ვლადიმერ ვისოცკის პლაკატი დაუდო მუხლებზე და უბრძანა, შენობაში შეეტანა და დაცვის თანამშრომლისთვის მიეცა. პლაკატის უკანა მხარეს ტერორისტების მთხოვნები ეწერა: თვითმფრინავი – სხვა ქვეყანაში გასაფრენად, 8 ჯავშანჟილეტი, 3 მილიონი – უცხოურ ვალუტაში (მილიონი გერმანული მარკა, მილიონი ფუნტი და მილიონი დოლარი) და 7 ავტომატი. ამას არავინ ელოდა. რა თქმა უნდა, მაშინვე მოსკოვში დარეკეს, სადაც მიხეილ გორბაჩოვმა საგანგებო სხდომა გამართა. სხდომაზე ერთადერთი საკითხი გაიტანეს და სამოქმედო გეგმის მთავარი მიზანიც გამოიკვეთა – არაფრის ფასად, ერთი მოსწავლის სიცოცხლესაც კი საფრთხე არ უნდა დაემუქროს.

ავტობუსმა გეზი ორჯონიკიძის აეროპორტისკენ აიღო. მოთხოვნის მიხედვით, ლაინერი, რომლითაც ტერორისტები სხვა ქვეყანაში გაემგზავრებოდნენ, სატვირთო უნდა ყოფილიყო, რადგან სატვირთო ლაინერში იმ ავტობუსით აპირებდნენ შესვლას, რომელშიც ბავშვები ჰყავდათ, რათა ასე, თავი დაეზღვიათ. პარალელურად, ტერორისტებმა ციხეში მყოფი ერთ-ერთი მეგობრის გათავისუფლებაც მოითხოვეს და მთავარი – გაფრენისას, ბორტზე უნდა ყოფილიყო... მიხეილ გორბაჩოვის ცოლი, სსრკ-ს პირველი ლედი, რაისა გორბაჩოვა. საინტერესოა, რომ მათმა მეგობარმა, რომელიც ციხიდან სასწრაფო წესით გამოიყვანეს და აეროპორტში მიიყვანეს, ავტობუსში ასვლა არ ისურვა. პირიქით, მან მეგობრებს მოუწოდა, ბავშვები გაათავისუფლეთ, სისულელეს აკეთებთო და საკანში დაბრუნდა. რაღა თქმა უნდა, დადგინდა ტერორისტთა ვინაობაც. ჯგუფის ორგანიზატორი, მრავალჯერ ნასამართლევი, ვინმე პაველ იაკშიანცი იყო, დანარჩენებიც წარსულში ნასამართლევები გახლდნენ – ვლადიმერ მურავლიოვი, გერმან ვიშნიაკოვი, ვლადიმერ ანასტასოვი და ტოფიკ ჯაფაროვი. იაკშიანცმა აეროპორტში ცოლის მიყვანაც მოითხოვა – მასთან ერთად აპირებდა გაფრენას, თუმცა ცოლმა ავტობუსში ასვლა არ ისურვა.

მომხდარის პარალელურად, ვლადიკავკაზში, პრაქტიკულად, ყველა რესპუბლიკიდან ჩარტერული რეისები განხორციელდა. სპეცდანიშნულების რაზმების გარდა, ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში ჩავიდნენ ადამიანები, რომლებსაც ტერორისტებთან მოლაპარაკების გამოცდილება ჰქონდათ, მათ შორის, ქართველებიც, მაგრამ...

„ჩვენ იქაურობას არ გაგვაკარეს, რადგან რამდენიმე წლით ადრე, საქართველოში, იგივე მცდელობა მსხვერპლით დასრულდა, ამიტომ საბჭოთა მანქანა თვლიდა, რომ ჩვენ წარმატებით ვერ გავართმევდით თავს მოლაპარაკებებს. რეალურად კი, სწორედ ჩვენ ვიცოდით, სად და რა შეცდომა იყო მაშინ დაშვებული, თუმცა არავინ მოგვისმინა. მით უმეტეს, გადაწყვეტილი იყო, შეესრულებინათ ტერორისტების ყველა მოთხოვნა, გარდა ერთისა – ბორტზე რაისა გორბაჩოვა არ მოხვდებოდა“, – გვიამბობს ქართველი ოპერმუშაკი, რომელიც ვლადიკავკაზში, სხვებთან ერთად, მომხდარიდან ორ საათში ჩავიდა.

მალე გაირკვა, რომ სატვირთო ავიალაინერი ვლადიკავკაზის აეროპორტში, უბრალოდ, ვერ დაჯდებოდა. ტერორისტებს ყველაფერი ეს აუხსნეს და მათაც დაიჯერეს, დათანხმდნენ, რომ სამგზავრო თვითმფრინავი ყოფილიყო. უშიშროების ერთ-ერთმა თანამშრომელმა ტერორისტებს ავტობუსში მოთხოვნილი იარაღი და ჯავშანჟილეტები აუტანა. რა თქმა უნდა, მიუტანეს ფულიც – სამი მილიონი უცხოურ ვალუტაში. ტერორისტებმა იარაღი ავტობუსშივე შეამოწმეს, ავტობუსის ჭერზე რამდენიმე ჯერი მიუშვეს და დარწმუნდნენ, რომ საბრძოლო მდგომარეობაში იყო. მათ პირდაპირ განაცხადეს – სამგზავრო თვითმფრინავში ჯერ ერთი ტერორისტი ავიდოდა და თუ იქ სპეცდანიშნულების რაზმი დახვდებოდა, ისინი ბავშვებს დახოცავდნენ, ამიტომ ლაინერში მყოფი სპეცდანიშნულების რაზმი სასწრაფოდ გამოიყვანეს და ტერორისტებს, რეალურად, მხოლოდ თვითმფრინავის ეკიპაჟი შეატოვეს. რაც მთავარია, არავინ იცოდა, სად აპირებდნენ ტერორისტები გაფრენას და თან რამდენ ბავშვს წაიყვანდნენ. მოლაპარაკებებში უშიშროების წარმომადგენლებმა ტერორისტებს რამდენიმე ბავშვის გათავისუფლება არაერთხელ შესთავაზეს.

„ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბავშვების ნახევარს მაინც ტერორისტები წაიყოლებდნენ, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: ავტობუსიდან თვითმფრინავში გადასვლის დროს, მათ ბავშვები ცოცხალ ფარად აიფარეს, ვერ იმუშავეს სნაპიერებმა და ზედ ტრაპთან, უკლებლივ ყველა ბავშვი გაათავისუფლეს, თავად ლაინერში ავიდნენ და ეკიპაჟს გეზის აღება ისრაელისკენ უბრძანეს“, – გვიყვება ქართველი ოპერმუშაკი.

ისრაელი შემთხვევით არ იყო შერჩეული. მაშინ, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა იმდენად იყო დაძაბული, რომ მოსკოვში ისრაელის საელჩო არ არსებობდა, შესაბამისად, არც ისრაელში იყო საბჭოთა კაავშირის საელჩო და ურთიერთობებს მხარეები, ფინეთისა და შვეიცარიის საელჩოების საშუალებით აგვარებდნენ. მტრულ სახელმწიფოში გამგზავრება, ავტომატურად, იმას ნიშნავდა, რომ ისრაელი ტერორისტებს საბჭოთა კავშირს არ გადასცემდა.

როგორც კი ლაინერი ჰაერში აიჭრა და მიმართულება გახდა ცნობილი, მიხეილ გორბაჩოვი ისრაელის პრემიერს პირადად დაუკავშირდა. საუბარი ხანმოკლე იყო – ებრაულმა მხარემ პირობა დადო, რომ დაკავებისთანავე, უკლებლივ ყველა ტერორისტს საბჭოთა კავშირს გადასცემდა. შესაბამისად, მოსკოვიდან ცაში მეორე, სპეც-ბოინგი აიჭრა, რომელსაც უშიშროების თანამშრომლები გაჰყვნენ და სწორედ მათ უნდა დაებრუნებინათ საბჭოთა კავშირში ტერორისტები.

ისრაელში ტერორისტების მიერ გატაცებული ლაინერი მშვიდობიანად დაეშვა, თუმცა გამტაცებლები გადმოსვლას არ ჩქარობდნენ. იაკშიანცმა ისრაელის თავდაცვის მინისტრთან მოისურვა საუბარი და ის ტელეფონით დაალაპარაკეს. ეს, სავარაუდოდ, დამნაშავეთა გულუბრყვილობის პიკი იყო. იაკშიანცმა ისრაელის თავდაცვის მინისტრს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ქრთამის სახით, ერთი მილიონი შესთავაზა, სანაცვლოდ კი, იერუსალიმიდან აშშ-ში გაფრენა მოითხოვა. რა ძნელი მისახვედრია, რომ მინისტრი ამ შეთავაზებას „სიხარულით დათანხმდა“ და აეროპორტში ჯარი მიიყვანა, რათა ტერორისტებისთვის უსაფრთხო კორიდორი გაეკეთებინა. პარალელურად, მინისტრმა ტერორისტების მეთაურს იარაღის ჩაბარება სთხოვა, რადგან სხვა შემთხვევაში, მათ აშშ-ის მხარე არ მიიღებდა. ტერორისტები დათანხმდნენ და იარაღთან ერთად, მინისტრისთვის გადასაცემი მილიონიც პატიოსნად გადასცეს ჯარისკაცებს. ყველაფერ ამას, დაახლოებით, ორი საათი დასჭირდა, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ მოსკოვის სპეც-რეისიც იმავე აეროპორტში დამჯდარიყო.

ტერორისტები იარაღსა და 3 მილიონთან ერთად, საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურს ჩააბარეს. მათ ბოლომდე არ სჯეროდათ, რომ მტერმა ისრაელმა, საბჭოთა კავშირთან ითანამშრომლა. ტერორისტების ჩამოყვანა საბჭოთა ტელევიზიებმა პირდაპირ ეთერში გადასცეს, თუმცა მაშინვე თქვეს, საბჭოთა სასამართლო აუცილებლად გაითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ არცერთი ადამიანი და მით უმეტეს, ერთი ბავშვიც კი არ დაშავებულა.

სასამართლო პროცესს, საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა და დასავლეთი თვალს ყურადღებით ადევნებდა. ყველაზე მეტი – 15 წელი იაკშიანცს მიუსაჯეს, დანარჩენებს – უფრო ნაკლები, თუმცა ის არავის გახსენებია, რომ გატაცებული ბავშვების უმრავლესობა, დღემდე რეაბილიტაციას გადის და ის კოშმარული დღე ესიზმრება.

ბათო ჯაფარიძე

რატომ არ დაასჯევინა გოგომ მამაკაცი, რომელმაც მამამ მოუკლა

ცნობილი მეცნიერის ოჯახური ტრაგედიის უცნობი დეტალები – როგორ დაიგეგმა აბიტურიენტის მოტაცება

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ცოლად მოყვანის მიზნით, გოგონას დღესაც, 21-ე საუკუნეშიც იტაცებენ. არადა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ამ ქმედებაზე სამართლებრივ დევნასა და თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ქალს ადრე, კომუნისტების დროსაც იტაცებდნენ, განსაკუთრებით სოფლებში, მაგრამ ყველაფერ ამან მასობრივი ხასიათი, მაინც 90-იანებში მიიღო. მაშინ, პრაქტიკულად, დღე არ გავიდოდა, მოსახლეობას რამდენიმე ასეთი შემთხვევის შესახებ რომ არ გაეგო. მშობლებს გასათხოვარი გოგონები, ლამის, დაცვით დაჰყავდათ და მარტო თითქმის არსად უშვებდნენ...

როცა თბილისში, ერთ-ერთ ცნობილი ოჯახის აბიტურიენტი გოგონა შინ არ დაბრუნდა, მაშინვე ივარაუდეს, რომ მოიტაცეს. ოჯახი კი ცნობილი იმით იყო, რომ ბაბუა მეცნიერთა აკადემიის წევრი გახლდათ, მამა – პროფესორი და როგორი საქმეა, ოჯახის ერთადერთი ქალიშვილი გაქრა?! მშობლები და ბებია-ბაბუა კედლებს აწყდებოდნენ, მილიციაშიც დარეკეს, მაგრამ ვერაფერი შეიტყვეს. საღამოს ტელეფონმა დარეკა. ყურმილს ბებია დასწვდა და მოსმენილის შემდეგ, უგონოდ დაეცა. სასწრაფომ ცოცხალს ვეღარ მიუსწრო, ტელეფონის მეორე მხრიდან კი კვლავ მკაფიოდ გაიმეორეს:

„10 ათასი მანეთი ორ დღეში, ადგილს მოგვიანებით შეგატყობინებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი შვილი მოკვდება“.

10 ათასი მანეთი ის თანხა იყო, რომელსაც ოჯახი ორ დღეში კი არა, ორ საათში მოაგროვებდა – ამ თანხას, უბრალოდ, საბანკო ანგარიშიდან მოხსნიდა. მაშ, რა საჭირო იყო ორი დღე და რაც მთავარია, თუ გაიტაცეს, რატომ არ ითხოვდნენ უფრო მეტს? გამტაცებლებს ხომ უნდა სცოდნოდათ, რომ ოჯახისთვის პრობლემა არც 20 ან 30 ათასი იქნებოდა?

შეამოწმეს შემომავალი ზარი და გაირკვა, რომ ქუჩაში მდგარი სატელეფონო ავტომატიდან განხორციელდა. სამართალდამცავებმა ტელეფონზე მოსასმენი მოწყობილობა დაამონტაჟეს, მაგრამ იქ მუდმივად ყოფნა და კონტროლი შეუძლებელი იყო. გარდაცვლილი ბებიის პანაშვიდზე ზღვა ხალხი მიდიოდა, გოგონას გატაცების ამბავიც მთელმა ქალაქმა გაიგო და ზოგს, უბრალოდ, სეირის ყურება უნდოდა. გამტაცებელს არც ორი და არც სამი დღის შემდეგ არ დაურეკავს. სამართალდამცავებმა დაასკვნეს – გამტაცებლებმა ზუსტად იცოდნენ, რა ხდებოდა ოჯახში და ამიტომ, გასვენება აცადეს.

გასვენებიდან მეორე დღესვე დარეკა ტელეფონმა, კვლავ ქუჩის ავტომატიდან რეკავდნენ. ამჯერად, ტელეფონი გოგონას მამამ აიღო, ყურადღებით მოუსმინა და დაკიდა. გამტაცებლები ფულის მიტანას მეორე დღისთვის ითხოვდნენ და თან პირდაპირ მიანიშნეს, ერთ-ერთი ჩვენგანი ნიღბის გარეშე მოვა, ფულს გამოგართმევს და წავა, მაგრამ თუ აიყვანენ, ჩვენ ამას შორიდან დავინახავთ და გოგონას მაშინვე მოვკლავთო. პარალელურად, ისიც თქვეს, იმ კაცს კიბო აქვს, 2-3 თვე ან იცოცხლებს, ან არა და ამიტომ, არ აინტერესებს, დახვრეტენ თუ ხანგრძლივ ვადას მიუსჯიანო. ჰო, ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ის გახლდათ, რომ ფული ბაბუას უნდა მიეტანა.

მილიცია საგონებელში ჩავარდა. თუ ყველაფერი ის, რასაც გამტაცებლები ამბობდნენ, სიმართლე იყო, მუქარა სავსებით რეალური ჩანდა. ავადმყოფი კაცის დაკავება არაფერს აძლევდათ, იმის გარანტიაც არ ჰქონდათ, რომ მას რამეს ათქმევინებდნენ დანარჩენ გამტაცებლებზე, ამიტომ გადაწყდა, ფული მამას წაეღო, რადგან ბაბუა ნერვიულობისგან ისე იყო დაუძლურებული, გადაადგილება უჭირდა. ფულის მიმღებს სამართალდამცავები უკან გაჰყვებოდნენ და გოგონას ადგილსამყოფელს გაიგებდნენ. მამა ერთ-ერთ ხალხმრავალ სკვერში მივიდა, შეთანხმებისამებრ, სკამზე ჩამოჯდა და ჩანთა გვერდით დაიდო, ცილინდრი სახეზე მაქსიმალურად ჩამოიწია და ლაბადის საყელოც აიკეცა. ცოტა ხანში, მასთან შუახნის მამაკაცი მივიდა, ყველაფერ ამას, სამართალდამცავები შორიდან უყურებდნენ. მოულოდნელად, მამამ გამტაცებელს შეხედა, მან კი დანა ამოიღო, გულ-მკერდის არეში ორჯერ დაარტყა და ფულის ჩანთასთან ერთად გაიქცა. სამართალდამცავთა ნაწილი მას დაედევნა, ნაწილი კი დაჭრილს მივარდა. უკვე ცხადი იყო, კაცი ისე გარბოდა, რომ სიმსივნის ბოლო სტადია არ უნდა ჰქონოდა.

მამამ ჩუმად ჩაილაპარაკა, მე ის ვიცანიო და გარდაიცვალა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: მდევრებს გამტაცებელი გაექცათ, უბრალოდ, დაეკარგათ.

საქმის გამომძიებლები ერთ დასკვნამდე მივიდნენ – გამტაცებელი იმიტომ ითხოვდა ბაბუას მისვლას, რომ მოხუცი პროფესორი მას არ იცნობდა, მამა კი, დიდი ალბათობით, იცნობდა და აკი, იცნო კიდეც. იმის გათვალისწინებით, რომ მამა-შვილი ერთ წრეში ტრიალებდნენ, თანამშრომლები გამოირიცხნენ. მაშ, სად შეიძლებოდა გადაყროდა, აწ უკვე გარდაცვლილი პროფესორი პირს, რომელმაც შვილი მოსტაცა? გამოითქვა ვარაუდი, რომ შეიძლება, ის რომელიმე სტუდენტი ყოფილიყო და სამართალდამცავებმა დაკარგული გოგონას გარემოცვის შესწავლაც დაიწყეს. დაკითხეს მისი უახლოესი მეგობარი, რომელმაც თქვა, რომ გოგო მის ძმაზე გიჟდებოდა, თუმცა ერთი უხერხული დეტალის გამო, მათი ერთად ყოფნა ვერავის წარმოედგინა – ძმა გოგონაზე 22 წლით იყო უფროსი, მაშინ კი ამას უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ.

ინტელიგენტთა ოჯახი არ დაუშვებდა, ერთადერთი ქალიშვილი მამისტოლა კაცისთვის მიეთხოვებინა. კითხვაზე, სად იყო ძმა, დაქალმა დაუფიქრებლად უპასუხა – სოფელში წავიდა ორი კვირის წინ, სახლი უნდა შევაკეთო, საცხოვრებლად იქ უნდა გადავიდეო. ეს ვადა გოგონას გაუჩინარების პერიოდს ემთხვეოდა. სამართალდამცავებმა დრო არ დაკარგეს და გეზი სოფლისკენ აიღეს. ალბათ, ხვდებით, რა დაემართებოდათ მილიციის თანამშრომლებს, რომლებიც დაღამებას დაელოდნენ, სახლს ფრთხილად მიუახლოვდნენ და ფანჯრიდან დაინახეს, როგორ სვამდა ჩაის გოგო იმ კაცთან ერთად, რომელმაც იმ დღეს, მამამისი მოკლა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, მაგრამ ადვილი მისახვედრი იყო, კაცი დაკეტილ კარს იოლად არ გააღებდა და გოგოს მძევლად აიყვანდა, ამიტომ მეზობელი შეაწუხეს და კარზე სწორედ მას დააკაკუნებინეს. არავინ იცის, ეს იყო ინსტინქტი, წინათგრძნობა თუ სხვა რამ, მაგრამ კაკუნის გაგონებისთანავე, კაცი ფანჯარაში გადახტა და გაიქცა. სამართალდამცავები დაედევნენ და რადგან კარგად იცოდნენ მისი ფიზიკური შესაძლებლობები და სისწრაფე, აღარ გარისკეს, გაქცეულს ტყვია დაადევნეს და ფეხში დაჭრეს.

როცა გოგონამ ბებიის გარდაცვალებისა და მამის მკვლელობის ამბავი გაიგო, თავიდან არ დაიჯერა, შემდეგ კი კედელს ისე ძალუმად დაარტყა თავი, რომ ექიმების ჩარევა გახდა საჭირო. გოგონას ტვინის შერყევა დაუდგინეს და გადაარჩინეს, თუმცა ის გაუთავებლად მოთქვამდა და არაფრის მოყოლას აპირებდა. სამაგიეროდ, გამოძიებას დაკავებული მამაკაცის იმედი ჰქონდა. მას ან აღიარებითი ჩვენება უნდა მიეცა, ან გოგოს აზრზე მოსვლას დაელოდებოდნენ და სიმართლეს მაინც გაიგებდნენ. ეჭვმიტანილი ხვდებოდა, რომ დახვრეტის მუხლისგან, შესაძლოა, მხოლოდ აღიარებით ჩვენებას ეხსნა და ამიტომ, საუბარი მალე დაიწყო.

„ეს გოგო ჩემი დის საშუალებით გავიცანი. მივხვდი, მოვეწონე, ალბათ, ასაკის გამო, უძლეველი და ყველაზე ჭკვიანი ვეგონე. სერიოზულად არ აღვიქვამდი, მაგრამ ერთ დღეს თავად მითხრა, შენს გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, ჩემს ოჯახს იმდენი ფული აქვს, მთელი ცხოვრება გვეყოფა, არც მუშაობა დაგვჭირდება, მხოლოდ ვიმოგზაურებთ და ერთმანეთით დავტკბებითო. მაშინ ვუთხარი, ასე შენს თავს არ გამომაყოლებენ, უნდა მოგიტაცო-მეთქი. გაუხარდა, მოეწონა, რომანტიულიაო. წავიყვანე სოფელში, მე კი ოჯახს ფული მოვთხოვე. შეგიძლიათ, შეამოწმოთ, არ მივკარებივარ. ფულს ავიღებდი, მერე ვეტყოდი, კარგად იყავი-მეთქი და დარწმუნებული ვარ, ჩვენი სიყვარულის გამო, არ გამცემდა. ვუყვებოდი, რომ დედ-მამა გაგიჟდნენ, როცა გაიგეს მისი გათხოვების ამბავი, არ გვირიგდებოდნენ და მე ვითომ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი. ყველაფერი ეს, ძალიან ხიბლავდა. მამამისს რამდენჯერმე ვყავდი ნანახი და ამიტომ არ მინდოდა შეხვედრაზე ის მოსულიყო. სხვა გზა არ მქონდა, ყველაფერი წყალში მეყრებოდა. რომ არ დაგეჭირეთ, ქვეყნიდან გავრბოდი“, – აღიარა დაკავებულმა.

აღიარებითი ჩვენების მიუხედავად, სასამართლომ მას დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა აპელაციის შემდეგ, განაჩენი 15-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს. როგორც ამბობდნენ, შვილიშვილმა ბაბუა აიძულა, ჩარეულიყო და საყვარელი მამაკაცი, თუნდაც მამის მკვლელი, სიკვდილით არ დაასჯევინა.

ალექსანდრე დარახველიძემ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის, სქესობრივი დანაშაულების ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებით, ტრენერთა ტრენინგი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის სქესობრივი დანაშაულების ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებით, ტრენერთა ტრენინგი დაიწყო.

სწავლების გახსნას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე, ვაჰაგ მურადიანი და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ქალთა მიმართ ძალადობის პროგრამის ხელმძღვანელი, ირინა ჯაფარიძე დაესწრნენ.

სასწავლო პროგრამის მიზანია შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ცოდნის გაღრმავება და მათთვის ტრენერისთვის საჭირო უნარების გამომუშავება, რათა შემდგომში სქესობრივ დანაშაულებზე ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად, გამომძიებლები გადაემზადონ. მომდევნო ეტაპზე, დაგეგმილია 240-მდე გამომძიებლის გადამზადება, რომლებიც სქესობრივი დანაშაულების გამოძიებას შესაბამისი სტანდარტების დაცვით განახორციელებენ.

ტრენინგის მონაწილეები განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სექსუალური ძალადობის დანაშაულები გენდერულ ჭრილში, სტამბოლის კონვენციისა და სხვა ევროპული სტანდარტების შესაბამისად, სექსუალური ძალადობის შესახებ მითებისა და სტერეოტიპების ამოცნობა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, მსხვერპლზე ორიენტირებული და კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიების წარმართვა. სწავლების მონაწილეები, ასევე, გაეცნობიან სქესობრივ დანაშაულებზე კასკადური ტრენინგების ჩატარების მეთოდოლოგიას.

ტრენინგი ეფუძნება სექსუალური ძალადობის გამოძიების, დევნისა და სასამართლო განხილვის შესახებ სახელმძღვანელოს, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის, ევროპის საბჭოსა და ორგანიზაცია Equality Now-ის მხარდაჭერით შემუშავდა.

სწავლება ევროპის საბჭოს პროექტის – ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტის – „გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისთვის“ (UNJP) და ორგანიზაცია Equality Now-ის ხელშეწყობით ტარდება.

აღნიშნული პროექტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, 2019 წლიდან ხორციელდება. პროექტი მიზნად ისახავს ხელისუფლების წარმომადგენელთა შესაძლებლობების ხელშეწყობას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე, მსხვერპლთა დაცვას, მოძალადეთა დასჯას და გენდერული თანასწორობის გაძლიერებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მზის ენერგიის ელექტროსადგური გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა და ლიეტუვის რესპუბლიკის ელჩმა, ანდრიუს კალინდრამ, ნოე რამიშვილის ქუჩაზე მდებარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ავტოსადგომზე, მზის ენერგიის ელექტროსადგური გახსნეს.

აღნიშნული სადგურის მზის პანელების საშუალებით, ასევე, მოქმედი ტარიფის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში, ელექტროენერგიის ხარჯი 23%-ით დაიზოგება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. შესაბამისად, ყოველწლიურად ხდება შენობებში არსებული მოძველებული ტიპის სანათების ეტაპობრივად ჩანაცვლება თანამედროვე, ენერგოეფექტური სანათებით, ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტები ისე ხორციელდება, რომ სამშენებლო ობიექტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია და გაზი დათბუნებისა და თანამედროვე აგრეგატების ხარჯზე იყოს მინიმალური.

პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიეტუვის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს თანადაფინანსებით, კლიმატის ცვლილების პროგრამის ფარგლებში, ლიეტუვურმა კომპანია JSC „Saulės grąža“-მ განახორციელა. იგი მიზნად ისახავს უწყების მიერ მოხმარებული ენერგორესურსების მაქსიმალურად შემცირებას, ასევე, კლიმატის ცვლილების შემსუბუქების მიმართულებით, ლიეტუვის საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას, საქართველოში მზის ენერგიის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით.

პროექტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და ლოგისტიკის დეპარტამენტის კოორდინაციით განხორციელდა.

პოლიციამ ინტერნეტით ნარკოტიკების გასაღების ფაქტები აღკვეთა – დაკავებულია ოთხი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და გავრცელების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას განაგრძობს. სამართალდამცველებმა თბილისში ნარკოტიკული საშუალებების ინტერნეტით გასაღების ფაქტები აღკვეთეს და დედაქალაქში სხვადასხვა ადგილზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით განთავსებული ნარკოტიკები ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს ინტერნეტის საშუალებით სისტემატურად ყიდდნენ.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ინტენსიური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოთხი პირი დააკავეს: 1984 წელს დაბადებული ლ. ნ., 2002 წელს დაბადებული ნ.ქ., 1999 წელს დაბადებულ ა.ჭ., 2002 წელს დაბადებული მ.კ.

სამართალდამცველებმა, ლ.ნ.-ის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ასევე, ნ.კ.-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „მეტადონის“ შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. „ბიო“ ამოიღეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია მათ მიერ სხვადასხვა ლოკაციაზე შემდგომი გასაღების მიზნით განთავსებული „მეტადონის“ შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. „ბიო“.

ლ.ნ.-ს ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობაში ედება, რაც 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნ.ქ.-ს კი ბრალად ედება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვა და რეალიზაციის მცდელობა, რაც 6-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ, ა.ჭ.-ის და მ.კ.-ის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო მათ მიერ წინასწარ შეთანხმებით, ჯგუფურად და გასაღების მიზნით, უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ“-ის შემცველი 1.670 მლ სითხე. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ისიც დადგინდა, რომ დაკავებულები მოტოციკლებით გადაადგილდებოდნენ და საკურიერო სერვისის ერთ-ერთი კომპანიის კუთვნილი ყუთების გამოყენებით, სხვადასხვა ლოკაციაზე, ნარკოტიკულ საშუალება „ალფა-პვპ“-ს შემდგომი რეალიზაციის მიზნით ათავსებდნენ. სამართალდამცველებმა აღნიშნული ლოკაციებიდან 15 შეკვრად დაფასოებული, 16 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ“ ამოიღეს.

ა.ჭ.-სა და მ.კ.-ს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და უკანონო გასაღების მცდელობაში ედებათ ბრალი, რაც 7-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნარკოტიკული საშუალების და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის და ჯგუფურად უკანონო გასაღების მცდელობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 19-260-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 19-260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

სანიოლმა ნახა ის, რომ სანახავი არაფერია

გასულ კვირას, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა. ვილი სანიოლის შეგირდები ჯერ რუმინეთს ესტუმრნენ, შემდეგ კი, ისტორიაში პირველად, ჰოლანდიას შეხვდნენ. რუმინეთთან მატჩში ჩვენმა გუნდმა 2:1 მოიგო, ხოლო ნიდერლანდელებთან 0:3 დამარცხდა. შესაძლოა, ვინმეს დადებით შედეგად ეჩვენოს ის, რომ ერთ-ერთ უხერხულ მეტოქე რუმინეთს, როგორც იქნა ვძლიეთ. აქამდე ჩატარებულ მატჩებში ერთი მოგებაც არ გვქონია, მაგრამ....

„ჩემი ხელმძღვანელობით, გუნდმა ყველაზე ცუდად ითამაშა, მაგრამ მოიგო“, – ეს განცხადება ნაკრების თავკაცმა, ვილი სანიოლმა, სწორედ რუმინეთთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. ვაღიაროთ, რომ ფრანგი სპეციალისტი თავს არ ზოგავს, საქართველოში ცხოვრობს, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ესწრება, ქართველ მწვრთნელებსაც შეხვდა, აზრი ჰკითხა, ორ მატჩში უამრავი ექსპერიმენტი ჩაატარა, მაგრამ...

გადაჭრით შეიძლება თქმა – სანიოლმა ნახა ის, რომ სანახავი არაფერია. მისი იდეა, ორი სრულფასოვანი ნაკრები ჰყავდეს, რათა რომელიმე ფეხბურთელის ტრავმის შემთხვევაში, მისი შემცვლელი ადვილად იპოვოს, საბოლოოდ დასამარდა. ორი სრულფასოვანი ნაკრები კი არა, ფაქტია, ერთის შეკოწიწებაც პრობლემურია და ეჭვი გვაქვს, ფრანგი სპეციალისტი ექსპერიმენტებს, სწორედ ამ ორი შეხვედრის შემდეგ შეეშვება. ჰოლანდიასთან შეხვედრაში ჩვენი მინუსები კი არა, არამედ, ის გამოჩნდა, რომ ასეთი დონის ნაკრები, სურვილის შემთხვევაში, მოგვიგებს ყველგან და ყველაფერს. საკმარისი იყო, ნარინჯისფერებს ტემპი ოდნავ მოემატებინათ და ჩვენს გუნდში სრული ქაოსი იწყებოდა. ამის შედეგია სამი უპასუხო გოლი და გიორგი ლორიას ორი არაამქვეყნიური სეივი, რომლის გარეშეც ანგარიში, მინიმუმ, 5:0 იქნებოდა.

20 მილიონი ფუნტი და „ლიდსი“ – რას წერს ბრიტანული მედია კვარაცხელიაზე

საქართველოს ეროვნული ნაკრების ორ ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია ხვიჩა კვარაცხელიას. საქმე ის გახლავთ, რომ „რუბინის“ ქართველი ნახევარმცველი, დღე-დღეზე, ტრანსფერის განხორციელების მოლოდინშია და ამიტომ, ტრავმის მიღების შესაძლებლობა გამოირიცხა. როგორც მისი აგენტი, მამუკა ჯუღელი ამბობს, მოლაპარაკება არაერთ კლუბთან ჰქონდა და საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ კვარა კარიერას იტალიაში, ინგლისში ან გერმანიაში გააგრძელებს. ტრანსფერი, მაქსიმუმ, 15 ივლისამდე გახდება ცნობილი, მაგრამ...

„ლიდს იუნაიტედი“ შეკრებას 1 ივლისს იწყებს, ამ დროისთვის, არგენტინელი მწვრთნელის, მარსელო ბიელსას განკარგულებაში ყველა ის ფეხბურთელი უნდა იყოს, რომლებიც მომავალი სეზონისთვის მოემზადებიან. ახალ ფეხბურთელებს შორის იქნება ქართველი ხვიჩა კვარაცხელია, რომლის ტრანსფერი უკვე შეთანხმებულია და მის სანაცვლოდ, „რუბინი“ 20 მილიონ ფუნტს მიიღებს“, – წერს ბრიტანული მედია.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში, ინგლისის პრემიერ-ლიგაში, „ლიდსმა“ მეცხრე ადგილი დაიკავა და ევროთასების ზონას მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა.

ზაზა ნადირაძემ ევროპაზე მეოთხე ადგილი დაიკავა

პოლონეთის ქალაქ პოზნანში დასრულებულ ევროპის ნიჩბოსანთა ჩემპიონატზე, ზაზა ნადირაძემ მეოთხე ადგილი დაიკავა. ქართველი სპორტსმენი ფინალურ შეჯიბრში მარტივად გავიდა და მედლის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატადაც მოაზრებოდა, თუმცა საბოლოო ჯამში, მეოთხეს დასჯერდა. მას სულ რაღაც 0.203 წამით აჯობა ლიეტუველმა ჰენრიკას ჟუტაუტასმა, რომელსაც ბრინჯაოს მედალი ერგო.

ისე, გულშემატკივრები ღიად ამბობენ, რომ ნადირაძის შედეგები სახარბიელო მას შემდეგ აღარ არის, რაც ის ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტობას დათანხმდა. მართლაც, მოქმედი სპორტსმენისთვის ძალიან ნელია ორი საქმის ერთად კეთება – ნადირაძე ან კაბინეტში უნდა იჯდეს, ან კანოეზე. კარს კი ოლიმპიადა მოგვადგა, სადაც ნადირაძე, როგორც სპორტსმენი და როგორც ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი წავა.

დოლიძემ მოიგო

UFC-ს ქართველმა მებრძოლმა რომან დოლიძემ, ბოლო ორთაბრძოლაში განცდილი მარცხით გულშემატკივრები კი შეაფიქრიანა, თუმცა გასულ უქმეებზე გამართულ შეხვედრაში დამაჯერებლად იმარჯვა და დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ არის იქ, სადაც დღეს ასპარეზობს.

ქართველის მეტოქე არგენტინელი ლაურეანო სტაროპოლი გახლდათ. მართალია, ჩვენებურმა ნოკაუტით ვერ მოიგო, მაგრამ სამივე რაუნდი დამაჯერებლად წარმართა და მსაჯების გადაწყვეტილებით, სამივეში 30:27 იმარჯვა. შედეგად, ქართველმა მებრძოლმა, UFC-ს მეოთხე ბრძოლიდან, მესამეში გაიმარჯვა.

21-წლამდელთა ფინალი ყრუაშვილმა იმსაჯა

5 ივნისს, 21-წლამდელ ფეხბურთელთა შორის, ევროპის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა გაიმართა. გერმანია-პორტუგალიის დაპირისპირებაში, ბუნდეს ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით, 1:0 იმარჯვა. ჩვენთვის კი ეს შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ ფინალს ქართველი მსაჯი, გიორგი ყრუაშვილი გაუძღვა, რაც ისტორიაში პირველად მოხდა. მას ასისტენტობას ლევან ვარამიშვილი და ზაზა ფიფია უწევდნენ, მეოთხე მსაჯი კი, ირაკლი კვირიკაშვილი იყო. საერთო ჯამში, ყრუაშვილმა ფეხბურთელები 32-ჯერ დააჯარიმა და 6 ყვითელი ბარათი უჩვენა. რაც მთავარია, მისი მსაჯობა უეფამ დადებითად შეაფასა.

კიდევ ერთი ლეგენდა წავიდა – ქართველი მხატვარი, თეატრისა და კინოს რეჟისორი და მწერალი რეზო გაბრიაძე გარდაიცვალა. რეზო გაბრიაძე, 1936 წელს, ქუთაისში დაიბადა. ის 35-ზე მეტი ფილმის ავტორია, რომელთა შორისაა: „მიმინო“, „არ იდარდო“, „ქინ ძა ძა“, „შერეკილები“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „სამნი გზაზე“ და ა.შ. 1981 წელს, რეზო გაბრიაძემ თბილისში დააარსა მარიონეტების თეატრი, რომელმაც პირველივე სპექტაკლიდან დაიპყრო მაყურებელთა გულები და დღეს, თეატრი მთელ მსოფლიოში მოგზაურობს.

„ვერსია“ თანაგრძნობას უცხადებს სრულიად საქართველოს და გთავაზობთ რეზო გაბრიაძის მოთხრობას – „უცხო ჩიტი (შერეკილები)“.

უცხო ჩიტი (შერეკილები)

აქ მოთხრობილი ამბავი ნამდვილია-მეთქი, რომ დავიჟინო, მკითხველი მაინც არ დამიჯერებს. ოღონდ ერთში უნდა მენდოთ, პირადად ჩემთვის ნამდვილზე უნამდვილესი რამ არის ეს ამბავი, რადგან ბავშვობისას მაქვს მოსმენილი ბუხრის პირას – არ ვიცი ქუთაისში, გუმბრინში, საქარაში თუ საკუთრივ ძუყნურში. მაშინ დავიჯერე მიზანასა და არისტოს, ერთაოზისა და მარგალიტას, ქრისტეფორესა და თამუნიას ამბავი და მერე კაციშვილმა ვერ გადამათქმევინა. კინოს ხალხმაც ირწმუნა მისი სინამდვილე, გადაიღეს „შერეკილები“.

მე კი გულმა ვერ მომითმინა და ის ბუხრის პირას გაგონილი ამბავი, ახლა უფრო წვრილად აღვადგინე მეხსიერებაში. თანაც ბევრი წაკითხული დავუმატე, ბევრიც ჭკვიანი ხალხიდან განაგონი, ბევრიც მეცნიერული, ბევრიც ქუჩაში ან სუფრაზე მოსმენილი და ეგებ, შენი ნათქვამიც, საყვარელო მკითხველო!

* * *

ძუყნური, მიზანას დედულეთი, ზეციერს ცოტა მაღლა აუტანია. თესლს კი ჩაიტევს სადმე ქვებში, მაგრამ მერე უზრდელობას დამართებს, კოჭს არ ააცილებს.

დაბადების წელი მიზანას არც თავისი ახსოვდა და არც ერთაოზისა აინტერესებდა მაინცდამაინც.

მიზანა მსხლის ძირში ჩამოჯდა. ხის ტანზე ორ რიგად, ზევიდან ქვევით და პირიქით, ჭიანჭველების რიგი მოძრაობდა. „რა დროს მუშაობაა, ამ წვიმაში“, – გული მოუვიდა მიზანას და სველი თითით გზა გადაუჭრა მშრომელებს. დაბრკოლების წინ, ჭიანჭველებმა თათბირი გამართეს. ერთი შეასახელეს, რაღაცა უთხრეს, გადარიეს და თავზე ხელაღებულმა მიზანას თითს შეუტია – ვინ დაგიფასებს მერე, ჩემი არ იყოს, ვაჟკაცობას! – უთხრა მიზანამ და თავდადებული ჭიანჭველა უგზო-უკვლოდ გადაკარგა წკიპურტით.

ერთაოზი ხეს მიეყუდა, ცარიელმა კუჭმა ყურყურს უმატა, მიზანას კუჭმაც თანაუგრძნო.

ამოიოხრა მიზანამ და ცალი თვალით შვილს გადახედა, სიტყვა თუ ჭრის ამ დამშეულზეო.

მიზანა შეჭირდა. ერთხანს გაჩუმებული იჯდა და თითს შუბლზე ატარებდა, თითქოს ხვრელს ეძებსო, აზრის გამოსატანად.

ასე სიმღერაში მიიცვალა მიზანა ბერგვაძე ერთ გაღლეტილ შემოდგომას, აუშვა ცაში ხმა და ვეღარ დაიბრუნა, ამოისუნთქა და ვეღარ ჩაისუნთქა, ისესხა სამი ჩაფი ღვინო და ვეღარ ჩაასესხა, დაფლეთილი ყავარი ამოიღლიავა და სასულეთში გადაინაცვლა მამაზეციერთან, ვარდის ყანაში, ბუმბულის ბალიშებზე, მურაბის ტაშტების სალოკავად.

მიზანა მთლიანი ყავრით გაზომეს, სასახლეში ჩაასვენეს, სარტყელში ხაჭაპური ამოუდვეს სამგზავროდ, ვენახს სამჯერ შემოატარეს, წაიყვანეს და შუაგულ ეკლესიაში დაისვენეს, წირვა მოასმენინეს, ტირილი გაუმართეს და მიწას მიაბარეს – კაცის სული პეპელას მიაქვსო... – ითქვა უკანობისას.

დათიკია მღვდელი ამ ქვეყნის კაცს აღარ ჰგავდა, სიბერისგან ძალზე დაცოტავებულიყო, მჭლეხორციანი, ფოთოლივით კრთოდა, ნაჩუქარ წლებს ხარჯავდა მოწიწებით და ღმერთს მადლობას სწირავდა ყოველ გამთენიისას. წებოს სვამს ღამღამობითო, ხმა დაირხა მრევლში, სული რომ ჩეიმაგროს სტომაქში და არ გაეპაროს, იმიტომო...

– ზრდილობამ ამოგვწყვიტა იმერლები, თვარა თათარზე მეტი ვყოფილვართ ჩვენ!

ერთაოზი ნალიაში აძვრა ღამის გასათევად. დიდხანს ვერ მოეწყო, რადგან მისი სიგრძე ადამიანი, უნაშთოდ ნალიაში ვერ ჩაეტეოდა. მიხვდა ამას და ფეხები გარეთ დაუტოვა ღამეს. მეჩხერ კედლებში შემოსულმა მთვარის სხივებმა ზოლებად დაყვეს ერთაოზი.

– ქალაქში ვინც წავიდა, ყველა შავი დედალით გაკეთდა! მიდი, შვილო, მიდი! – ალერსიანად უბიძგებდა ქალაქისკენ ისიდორე ერთაოზს, მარა ფაიტონებს ერიდე, იცოდე, ღმერთი არაფერ შუაშია მაგენის გაჩენაში!

* * *

ქალაქი, რომლისკენაც ერთაოზი დაიძრა, დღესაც არ აღინიშნება ყველა რუკაზე და ჩვენს დროშიაც „სხვადასხვა დასახლებულ პუნქტად“ ასახელებენ. ამ ქალაქს შუაში პატარა მდინარე ჩაუდიოდა, რომლისთვისაც უფრო სწორი იქნებოდა, მოსიარულე წყალი გვეწოდებინა. ეკლარის ქვით ნაშენი სახლებიდან მუდამ ჟამს გიტარის სევდის მომგვრელი კვნესა ისმოდა. ღორები ქუჩაში სამყურას გლეჯდნენ. ვენახებით დატყვევებულ ქალაქში ნახევარი მოსახლეობა მთვრალი იყო, მეორე ნახევარი კი უფრო მთვრალი, ანდა პირიქით. გუბერნატორს ჭიშკარს პარავდნენ და ნალებს ჭედავდნენ. ღამღამობით მგლები ტყიდან ტყეში ქალაქის ქუჩებით გადადიოდნენ მოკლეზე. სახელგანთქმულ ტრაგიკოსს, უბადლო ჰამლეტს დუქნებიდან წამოყოლილი ღვინის მწერები დასდევდნენ სცენაზე, ტაშის დროს კი ჭერიდან კეტეტილები ცვიოდნენ. ცხენოსნები ტროტუარზე დასეირნობდნენ. უყვარდათ სიტყვები: „გენიოზი“, „გრადუზი“, „ბალზაკი“. სწამდათ სიზმრების, ჭიამაიების, მარჩიელების, ჭინკების, სწამდათ, რომ ხოჯავა მეთულუხჩეს ორი გული აქვს და სრიალა კუდი წინიდან. ოქროთი სავსე თასით მთელ ქალაქს მოივლიდა კაცი შუა ღამით უშიშრად, ლობიო მესამე წყალში იხარშებოდა. მოქალაქეთა ფიქრები და აზროვნება დაბურული იყო, დამოკიდებულებანი კი ტკბილი, როგორც გაჩენის პირველ დღეს. ვაჭრობდნენ მტკნარად, ღიმილით.

ოცდასამი თერძი, ოცდაორი მეთოფე, სამასი გიტარა, ბერუჩევის ბაღი, ქინაქინა, ბანოჯის წურბელები, საპონი იარმურკის, თევზი რებეცი, ჩაი კონტონის, სახლი ღვთისშვილის, სახლი საჯდომად – ორას სამი, სახლი გირაოთი – ორმოცდათორმეტი. დროშის მტვირთველი – ერთი.

უბედურ შემთხვევათა რიცხვი: მეხდაცემულობა – 3 კაცი, 0 ქალი. მკრეხელობა – 7 კაცი, 29 ქალი. გაყინვა – 1 კაცი, 0 ქალი. ჩინოვნიკთა უპატივცემულობა – 0 კაცი, 0 ქალი. ქამასოკოთი მოწამვლა – 78 კაცი, 78 ქალი. კბილების დაგდებინება – 25 კაცი, 0 ქალი. კბილების ჩაგდებინება – 57 კაცი, 0 ქალი. გარეული ცხოველებისგან დაკბენა – 2 კაცი, 1 ქალი.

ქუჩებში ისეთი სიჩუმე იდგა, რომ პეპელას ფრთების ფრთქიალს გაიგონებდით და ყველა დღე უქმეს მოგაგონებდათ.

ასეთი იყო ქალაქი, როდესაც ერთაოზი პირველად გამოჩნდა მის ქუჩებში.

* * *

მარგალიტა მეორე ცოლი იყო ტრიფონისა. პირველი – ჩიტოლია ვერ გამოადგა ტრიფონს, სხვანაირი ქალი იყო, საჯარო, ნაზად მჭამელი, ლოტოს თამაშობდა, დაჯდომისას კაბიდან ფეხი გამოუჩნდებოდა, მოდას აყოლილი „სუხარებსაც“ ახრამუნებდა, ქვიშანს ნემსით მიირთმევდა და მარაოს სუნამოთი ნამავდა. ერთხელ ტრიფონმა რეისიდან ორი ნესვი ჩამოიტანა, დუთმა, ისპაჰანიდან. ჩიტოლია სახლში არ დახვდა. ტრიფონმა ერთხანს უცადა, უცადა, შემდეგ ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო, გახსნა, მტვერი გამობერა ტარიდან და ნესვი გაჭრა. ჩიტოლიას ლოდინში ტრიფონს ჩასძინებოდა. რომ გაეღვიძა, მზე უკვე გადასულიყო, ცოლი მაინც არსად ჩანდა. მაშინ ტრიფონს მოწყენილობა რომ გაეფანტა, თავში ერთი აზრი მოუვიდა: მოდი, ამ მეორე ნესვსაც გავჭრი, ჩავიხედავ შიგნით, როგორიაო. ტრიფონმა ნესვისკენ რომ წაიღო ხელი, ნესვი აღიღინდა და ქალად იქცა. ეს გახლდათ მარგალიტა.

დაღლილ-დაქანცული ერთაოზი მოუნათლავ კატასავით დაეხეტებოდა ქუჩა-ქუჩა.

საყასბოს წინ, გახუნებული ძაღლი ხორცის საჩეხ ჯირკს ღრღნიდა. ერთაოზმა სულგრძელად გადაუგდო ნაზუქი, ძაღლმა ჯირკი უარყო და ნაზუქს ეცა.

* * *

მარგალიტამ ღილები აიწყვიტა მკერდზე და ერთაოზს ორ თეთრ გორაკს შორის ჩამოკიდებული, მინანქრიანი წმინდა გიორგის ხატი თითით უჩვენა – რაც უნდა მოხდეს, ხმა-კრინტი არ დაგცდება ჩემზე, შემომფიცე!

ამ სულისწამღებმა სანახაობამ ერთაოზი ააცახცახა.

[...]

– ვფიცავ! – ღრმად ჩაისუნთქა ერთაოზმა და ანთებული ბაგეებით კიდევ ერთხელ ეამბორა ხატს, მაგრამ ამჯერად ტუჩები ასცდა წმინდა გიორგის და მის ძებნაში, დიდი დრო დაიკარგა.

[...]

მარგალიტამ გულ-მკერდი გადაუშალა და ერთხელ კიდევ გაასესხა წმინდა გიორგი. გულუხვმა მლოცველმა კი ერთხელ კიდევ მოიარა ხევ-ხუვები მხურვალე ლოცვით.

– რას შობი, ბიჭო?!

– წმინდა გიორგის ვეძებ... – წაიკვნესა ერთაოზმა.

– რა უნდა მერე მაქ წმინდა გიორგის?! – თეძოებიდან ძლივს აიგლიჯა რელიგიურ ექსტაზში გადავარდნილი ერთაოზას ხელები მარგალიტამ.

* * *

ერთაოზი ჩააკვირდა და სიბნელეში რაღაც მოარული ძონძები ამოიკითხა, რომლებსაც გრძელთმიანი, გაბურძგნალწვერიანი კაცის თავი ამშვენებდა. ეს გახლდათ ქრისტეფორე მგალობლიშვილი, სამოცდაათ წელს გადაცილებული, ნასტუდენტარი ქართლელი კაცი. უცნაური, მუდამ მოღუშული, თავის ფიქრებში წასული ტუსაღი, რომლის ამ სატუსაღოში მოყვანა აღარავის ახსოვდა. რას არ ამბობდნენ მასზე ჭურებში, თითქოს ოდესღაც, გორში თუ კასპში შუშის ქარხანა აეშენებინოს, შემდეგ კი მიეტოვებინოს. თითქოს 500 კვერცხის უკრუხოდ გამოჩეკა სცოდნოდეს, იმასაც ამბობდნენ – მეხის დაჭერა შეეძლოო, მაგრამ რატომ მოხვდა აქ, ეს კაციშვილმა არ იცოდა.

– ეჰ, – სინანულით გადააქნია თავი მოხუცმა – აი, ეს ვართ ქართველები, ამ საპყრობილეში მიჯნურები და რასტრატჩიკები ვსხედვართ მხოლოდ. არც ერთი მოაზროვნე, არც ერთი პოეტი... ანარქისტი მაინც იყვეს ვინმე...

* * *

– ოხ... – სამარისებურ სიჩუმეში დაიწყო ქრისტეფორემ და ერთაოზიც სმენად იქცა. – მე არასოდეს დამავიწყდება გაზაფხულის ის მშვენიერი დილა. ჟენევიდან ახლად დაბრუნებული, მარტოდმარტო მივდიოდი ქუჩაში. ანაზდად დაჰქროლა ქარმან სასტიკმან. დავინახე, რომ ჩემსკენ მოფრინავს ჩალის ნაცრისფერბაფთიანი ქუდი მანდილოსნისა. დავიჭირე. გადავხედე არემარეს, რათა პატრონი შემენიშნა, ოხ... – ამოიოხრა მოხუცმა.

– მერე?

– ჩემს წინ ბუნების უმშვენიერესი ქმნილება იდგა. მე მივხვდი, რომ ეს ის არის და ის მიხვდა, რომ მე მე ვარ... ანდამატისებრ მიმიზიდა, მიმიზადა მსწრაფლად ცნობანი მშვენიერებამ. ის დღე და ის ღამე, მთვარის შუქზე შემდგარმა, მე თამუნია ყიფიანის სარკმელთან გავატარე. გამთენიისას, ვიწრო სარკმელში ბროლის ხელი გამოჩნდა, რომელმაც ტუბეროზა გადმომიგდო... ჩვენ გადავწყვიტეთ, ჯვარი დაგვეწერა. ასპიროზის მამა განრისხდა და საცოდავი გოგონა მონასტერში დაამწყვდია. ვეახელი მას და ვთხოვე თამუნიას ხელი, „როგორ!“ – მიყვირა გენერალმა, – ჩემი ერთადერთი გოგონა ვიღაც „სუხარებით“ გამოტენილ ფიზიკოსს გავაყოლო?! როგორ გამიბედე ეს, შე ნაძირალავ!“ რარიგ დიდი არ იყო ჩემი სიყვარული, მაინც ვერ მოვითმინე შეურაცხყოფა და სილა ვსტკიცე გენერალს!

ამის შემდეგ შეყვარებული ფიზიკოსი გაუსამართლებიათ, მოსამართლეს, თავად ფალავანდოვს, მისთვის სამი წელი მიუსჯია. „აჰ, შე ნაძირალავ!“ – შეჰყვირა მაშინ სტუდენტმა, სტაცა ხელი თურმე ფალავანდოვს. კვლავ გაასამართლეს, ამჯერად მოსამართლის შეურაცხყოფისათვის, მოსამართლე ციციანოვმა იმ სამ წელს ხუთი წელი დაუმატა და, რადგანაც სტუდენტს სასამართლოზე ხელფეხდაბორკილს, მეტი ვერაფერი მოუხერხებია, თავი უთავაზებია მოსამართლისათვის სახეში. ისევ გაასამართლეს. კიდევ ხუთი წელი მიუმატეს ციციანოვის შეურაცხყოფისათვის. „აჰ, შე იშკილბაზო!“ – ისევ გაისმა შეყვარებულის ხმა.

– ერთის ლექსით, თვრამეტი წელი დავაგროვე. ფარ-ხმალი მაინც არ დამიყრია. გადავწყვიტე საფრენი აპარატი გამომეგონებინა თამუნიას მოსატაცებლად, როცა ორივენი ჰაერში ავფრინდებოდით, მაშინ რაღა დაუდგებოდა წინ ჩვენს სიყვარულს! დღედაღამ ვმუშაობდი გამოთვლებზე. ოხ, რა მოულოდნელად ჩამოჰკრა უბედურების ზარმა! თამუნიას, სიყვარულის ნიადაგზე, ტუბერკულოზი განუვითარდა. კონსილიუმი კონსილიუმს მოსდევდა, სურამი, ნიცა, კუმისი! ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა, მისი უკანასკნელი თხოვნა ჩემი ხილვა იყო, აბა, ამას ვინ დაუდგებოდა წინ. წამიყვანეს ბორკილიანი, ცოცხალს ვერ მივუსწარი... სევდიანი ღიმილი ამშვენებდა მის ნაწამებ სახეს... მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები! უკანასკნელი სიტყვები ქცევამზიანის, სხივცემულისა ყოფილა: „შენ, მხოლოდ შენ“...

ერთაოზი გაოცებით ისმენდა ამ ამბავს. თურმე, ნუ იტყვით, მოხუცი ყოველ 5 წელში ერთხელ ახერხებს აქედან გაპარვას სატრფოს საფლავის სანახავად და უბედურს ყოველთვის სასაფლაოზე იჭერდნენ. მოჰყავთ საპყრობილეში და მოსახდელ წლებს უმატებენ. ის კი ისევ გარბის, კაციშვილი მისი დამკავებელი არ არის თურმე!

* * *

დილიდან ერთაოზი მძიმე ამოცანას აკლავდა თავს: 6:2=; ახლაც იდგა ამოცანის წინ ჩაფიქრებული.

– ვორი, შე უპატრონო, ვორი, – ჭურის თავში ხუტა ოდიშარიას სახე იყო გაჩხერილი, – არ მომშალა კაცი? ხუთი დღეა, ამას რავა მოვუნდომებ!

ერთაოზმა ხუტას ჯინაზე დაწერა სამიანი, მაგრამ ჭურში შემოსულმა სარზე წამოცმულმა სარეცხელმა ჭეშმარიტება წაშალა.

– აქედან ვერ წაშლი, – მტკიცედ უთხრა ციხის უფროსს ახალგაზრდა მეცნიერმა და შუბლზე დაირტყა ხელი.

* * *

ტრიფონმა ტომრები იატაკზე დაუშვა, უბიდან მოზრდილი ქვა ამოიღო, მეუღლეს გადასცა და ჩუმად უთხრა: – მოლა ვნახე. ცოცხალი კატა გაპუტოსო და ბიჭი გეყოლებათო, ალბერტიკა დაარქვითო...

– ქალბატონი მარგალიტა იტანჯება, მოგეხსენებათ: ნემსის ნუგეში ძაფია...

* * *

ქრისტეფორემ მონახა სწორი ადგილი და გადაზომა ათი ნაბიჯი.

– სიგრძე უდრის სიყვარულს, – თქვა მან და განის გაზომვა დაიწყო.

– ჩაიწერე, – უბრძანა სანიტარ შვანგირაძეს ნოშრევანმა.

– სიგანე – რწმენას! – თქვა ქრისტეფორემ.

შემდეგ ქრისტეფორემ ცაში აიხედა, თავზევით ხელი ასწია და თქვა:

– სიმაღლე – იმედს!

* * *

ელვა. აკადემიკოს შარკოს, ძვირფასო მასწავლებელო და კოლეგავ! ფრენოლოგებმა განაცხადეს, რომ ხვალ გაფრინდებიან. იდეაფიქსის აუცილებელი მარცხი გამოიწვევს შოკს. მზადყოფნაშია ბროწეულის წვენის ოყნები, საშხაპო აპარატურა, აცნობეთ ლომბროზოს, მუდამ თქვენი იდეების ერთგული, ნოშრევან ქეთევან მომენტი დომენტი კუჭუხიძე – კავკასიელი.

– დედალი?! – გაახსენდა ერთაოზს და მიწას ჩახედა, – შავ დედალს შავი მამალი ღობის ძირში ტკეპნიდა. – სიყვარული ვერტიკალურია! – აგრძელებდა სიტყვას ქრისტეფორე, მეტის გაგონება ვერავინ მოახერხა.

* * *

ტრიფონმა ეზო გადაირბინა და ის იყო კიბის საფეხურზე შედგა ფეხი, რომ უცებ მარგალიტამ დამცრობა და დამჩატება იწყო. ტრიფონმა კარს ფეხი ჰკრა, ოთახში შეიჭრა, მაგრამ ხელში მარგალიტას მაგიერ, პატარა შაქრის თოჯინა შერჩა.

– ვაი... – წაიჩურჩულა ტრიფონმა და თოჯინა ხელიდან გაუვარდა.

შაქრის თოჯინა წყლით სავსე ვედროში ჩავარდა. ტრიფონი დაიხარა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, თოჯინა თითქმის დამდნარიყო. ტრიფონს მუხლები მოეკეცა, ვედროსთან ჩაჯდა, წყალში ჩაიხედა – თოჯინა სრულიად დადნა. ო, ტანჯვის შავმა, ბანჯგვლიანმა ხელმა მოუჭირა ტრიფონს გულზე, ცრემლით აევსო ობერს თვალები, ვედროში თითი ჩაჰყო, ერთხანს ნაზად ატარა წყალში, შემდეგ ენაზე გასინჯა. ო, რა ტკბილი და მწარე იყო ეს წყალი!

– ვაი, ჩემო კუკლიკი, თურმე რაფრა მყვარებიხარ... – თქვა ტრიფონმა, გულზე დამბლა დაეცა და მოკვდა.

* * *

– ეჰა, ჩემო ერთაოზ. აბა, გსმენიათ, რომ პირველი სიყვარული ბედნიერი ყოფილიყოს? პირველი სიყვარული თუ აგაფრენს ცაში, თორე მეტი არაფერი მისგან არ ხდება, – ამ სიტყვებით ქრისტეფორემ მუხრუჭი აუშვა და „თამუნია“ სწრაფად მოშორდა „ნემეცის“ ქუჩას.

დათიკია მღვდელს სალამი დასუსტებოდა, ისე გაფუღურებულ-დაცოტავებულიყო, რომ ჩრდილი დაჰკარგოდა.

ისევ გამოჩნდა მათ თავზე ლურჯი, უძირო, სულისწამღები ცა – მამაზეციერის წამიერი საჩუქარი და ყველაფერი გაქრა.

ექსკურსია სასაფლაოზე?!

ჩინეთის ქალაქ ჩუნცინში მდებარე ტურისტული ფირმამ, არც მეტი და არც ნაკლები, პენსიონერებს სასაფლაოს ადგილები მიჰყიდა! ადგილობრივი სააგენტო „ლუნიაო“ დაუკავშირდა პენსიონერებს და 18 იუანად (2.78 დოლარი) ლამაზი ადგილების დათვალიერება შესთავაზა, ტურის ღირებულებაში შედიოდა სადილიც. ამ ექსკურსიაზე ათობით ხანდაზმული ჩინელი ჩაეწერა, თუმცა დაპირებულმა ტურმა, გულუბრყვილო მოხუცები, ცოტა არ იყოს, გააოცა – ლამაზი პეიზაჟების ნაცვლად, ისინი სასაფლაოზე მიიყვანეს და უკანასკნელი განსასვენებლის ყიდვა შესთავაზეს. აღშფოთებულმა პენსიონერებმა ქალაქის ტურიზმისა და კულტურის სამმართველოში იჩივლეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაარკვია, რომ „ლუნიაოს“ არ ჰქონდა ტურისტული ჯგუფების გაყვანის ლიცენზია. დაზარალებულ მოხუცებს აღუთქვეს, რომ აღკვეთდნენ ფირმის საქმიანობას, რომელიც არღვევს ტურისტების უფლებებს და ჩუნცინის იმიჯსაც აზიანებს.

მედიჩის კაპელა ბაქტერიებით გაწმინდეს

იტალიაში, რესტავრატორების ჯგუფმა, ბიოლოგებთან ერთად, სხვადასხვა შტამის ბაქტერიები გამოიყენა, რათა ფლორენციაში, მედიჩების კაპელა ჭუჭყისგან გაეწმინდა. კაპელა XVI საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის და ის მიქელანჯელოს შემოქმედებაა. ეკლესიის ბაქტერიებით წმენდის ექსპერიმენტი გასაიდუმლოებული იყო. კაპელა 1535 წელს დასრულდა და უკვე 60 წლის შემდეგ გაჩნდა ცნობები, რომ მისი გარეგნობა შეილახა. კედლები გაშავდა, სკულპტურებსა და სარკოფაგებზე ლაქები გაჩნდა. მედიჩების კაპელას რესტავრაცია 1988 წელს დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებით მდგრადი ლაქების მოცილება ვერ მოხერხდა. 2019 წელს, კაპელა ინფრაწითელი სხივებით გამოიკვლიეს, რა დროსაც სკულპტურებსა და საფლავებზე მინერალების – კალციტის, სილიკატის, ორგანული ელემენტების ნალექი აღმოაჩინეს. საქმეში ბიოლოგები ჩაერთვნენ და ეკლესიაში გასაშვებად, რვა სახის ბაქტერია შეარჩიეს. წინასწარ ტესტი საკურთხევლის მარმარილოზე ჩაატარეს. სპეციალისტების თქმით, ეს მიკროორგანიზმები აბსოლუტურად უსაფრთხოა, როგორც ადამიანებისთვის, ასევე, სკულპტურებისთვისაც. კაპელას წმენდის ექსპერიმენტი ჯერ კიდევ პანდემიის დაწყებამდე დაიწყო და გასულ ზამთარს წარმატებით დასრულდა.

ამერიკას ახალ ქანდაკებას აჩუქებენ

მეგობრობის ნიშნად, საფრანგეთი აშშ-ს ახალ „თავისუფლების ქანდაკებას“ გადასცემს. როგორც ვარაუდობენ, ქანდაკება ნიუ-იორკში, 4 ივლისს, ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს ჩავა. ქანდაკება ცნობილი 93-მეტრიანი სკულპტურის დაპატარავებული ასლია, რომელიც მეგაპოლისში, თავისუფლების კუნძულზე დგას. ორი ქვეყნის ისტორიული კავშირის სიმბოლოდ ქცეული ქანდაკების ახალი ვერსია 2.8 მეტრს შეადგენს. თავისუფლების ორიგინალური ქანდაკება 1876 წელს, მსოფლიო გამოფენისთვის შეიქმნა და შეერთებულ შტატებს დამოუკიდებლობის 100 წლისთავზე აჩუქეს. მონუმენტი, რომელიც „იუნესკოს“ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შედის, ფრანგმა სკულპტორმა, ფრედერიკ ოგიუსტ ბარტოლდიმ შექმნა.

ჩინელებს სამი შვილის ყოლის უფლება მისცეს

ჩინეთის ხელისუფლება თანამემამულეებს სამი შვილის ყოლის უფლებას მისცემს. აქამდე, ოჯახებს მხოლოდ ორი ბავშვის ყოლის უფლება ჰქონდათ. "გარდიანის" ცნობით, ამ გადაწყვეტილებით, ქვეყნის მთავრობა ცდილობს, ერის დაბერებას შეებრძოლოს. ამ მომენტისთვის, ჩინეთის მოსახლეობა 1.4 მილიარდს შეადგენს, მცხოვრებთა 18% – 60 წელს გადაცილებულია. სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, შარშან ჩინეთში, 12 მილიონი ბავშვი დაიბადა, რაც 18%-თ ნაკლებია, ვიდრე 2019 წელს. წელს კი, უახლესი მონაცემებით, შობადობა კიდევ 15%-ით შემცირდა. მთელი 35 წლის განმავლობაში, ჩინელებს ერთ ბავშვზე მეტის ყოლის ნება არ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ, ოჯახებს ორი შვილის უფლება მისცეს, ამას შობადობის მნიშვნელოვანი ზრდა არ მოჰყოლია. თუკი წყვილები რისკავდნენ და ორზე მეტ შვილს აჩენდნენ, ჯარიმის გადახდა უწევდათ, რომლის ოდენობასაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ადგენენ.

ვირტუალური ჩანთა რეალურზე ძვირია

იტალიური მოდის სახლის – Gucci-ს ვირტუალური ჩანთა რეალურზე უფრო ძვირი აღმოჩნდა. ერთ-ერთი გამოცემის ცნობით, ვირტუალური მოდელი Dionysus, ონლაინ-პლატფორმაზე 4115 დოლარად გაიყიდა. ჯერჯერობით, მყიდველის ვინაობა უცნობია. ცნობილია, რომ ბრენდის ანალოგიური ჩანთის ფასი Gucci-ის ბუტიკებში – 3400 დოლარია. ამ სტილის ჩანთა, რომელზეც ფუტკარია ამოქარგული და ბრენდის მონოგრამაც ამშვენებს, პირველად 2015 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციაში იყო წარმოდგენილი და ის კრეატიული დირექტორის, ალესანდრო მიქელეს შექმნილია.

პრემიერი მთავრობის სახლიდან გააგდეს

სამოას ახლად არჩეული პრემიერ-მინისტრი, ფიამე ნაომი მატაფა, რომელიც პარტია „ერთი ჭეშმარიტი ღმერთის რწმენის“ მეთაურია, მთავრობის სახლიდან გააგდეს და ფაქტობრივად, აიძულეს, ფიცი კარავში დაედო. ქვეყნის მეთაურად ამ პოლიტიკოსის არჩევით, ადამიანის უფლებათა დამცველი პარტიის (Human Rights Protection Party, HRPP) 40-წლიანი მმართველობა დასრულდა. გასულ კვიას, ახალ პრემიერს ფიცი უნდა დაედო და თანამდებობა დაეკავებინა, მაგრამ ყოფილმა პრემიერმა უარი თქვა მმართველობის გადაცემაზე და მთავრობის სახლში მატაფა არ შეუშვა. შედეგად, პოლიტიკოსმა ფიცის ქუჩაში, პარლამენტის მახლობლად გაშლილ კარავში დადო.

ჭარბ წონას წამალი დაამარცხებს

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ბოლო 50 წლის განმავლობაში, ჭარბწონიანი მოსახლეობის რაოდენობა სამჯერ გაიზარდა. წლების განმავლობაში, არაერთი წამალი შეიქმნა, რომელიც ნერვულ სისტემაზე ზეგავლენის გზით, მადას აქვეითებს და წონის კლებას უწყობს ხელს. თუმცა, თითქმის ყველა მათგანი აიკრძალა, რადგან მნიშვნელოვანი გვერდითი მოვლენები ახასიათებს. ცოტა ხნის წინ, ავსტრალიელი სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს. ისინი იკვლევდნენ პრეპარატს, რომლის მიზანი წონის კლებაა, ოღონდ ისე, რომ მადა ნერვულ სისტემაზე ზაგავლენით არ დაქვეითდეს. ახალი წამალი ნერვის სასიგნალო მოლეკულაზე (ნეიროპეპტიდ Y-ზე) ზემოქმედებს. სწორედ ამ მოლეკულის დახმარებით აქვს ცოცხალ არსებას უნარი, გაუმკლავდეს საკვების დეფიციტს. მედიკამენტი ნეიროპეპტიდის რეცეპტორებს თრგუნავს. შედეგად ცხიმი, რომელიც ორგანიზმს მარაგის სახით აქვს შენახული, იწვება, რაც წონის კლებას უწყობს ხელს. მღრღნელებზე ჩატარებული ცდებით, პრეპარატი არ მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, არ იწვევს განწყობის ცვლილებას და 40%-ით ამცირებს წონას. ასევე, უმჯობესდება გლუკოზის მეტაბოლიზმი, ხელს უწყობს ძვლის უჯრედების ზრდას და სიმკვრივის შემარჩუნებაში ეხმარება. ავსტრალიელთა ცდების შედეგები დამაიმედებელია და კვლევები გრძელდება.

წყურვილის გარეშე წყლის დალევა საზიანოა

თურქი სწავლულები აცხადებენ, რომ დიდი რაოდენობით წყლის სმა, რასაც ბევრი სპეციალისტი თავგამოდებით გვირჩევს, სინამდვილეში, ორგანიზმს ვნებს. ნეფროლოგების თქმით, სითხე რეცხავს და გამოდევნის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ელემენტებს. კერძოდ, გამოიდევნება ნატრიუმი, რომელიც ადამიანის სისხლში ნორმაში 135-145 მლ/მოლს უნდა შეადგენდეს ლიტრზე. თურქი ექსპერტების თქმით, ნატრიუმის უკმარისობის დროს, შესაძლოა, ადამიანი წყლით მოიწამლოს. ნატრიუმის შევსებას ზოგი მარილის დიდი რაოდენობით მიღებით ცდილობს, თუმცა, ამგვარი მეთოდი, გულითა და თირკმელებით დაავადებულ ადამიანებს გამოუსწორებელ ზიან აყენებს. არც ის მოსაზრებაა სწორი, თითქოს, დიდი ოდენობით წყლის მიღება წონის დაკლებას უწყობს ხელს, – აღნიშნავენ სპეციალისტები.

უჩინარი ქანდაკება აუქციონზე გაიყიდა

მილანის აუქციონის სახლმა – Art-Rite-მა, უჩვეულო ექსპონატი წარადგინა. ესაა მხატვარ სალვატორე გარაუს ნამუშევარი – I am. მიუხედავად იმისა, რომ ეს თვალით უხილავი ქმნილება იყო, ის უკვე 15 ათას ევროდ შეიძინეს. ლოტის თავდაპირველი ღირებულება 2.5-ჯერ ნაკლები იყო. ხელოვანი ქალაქ სანტა-ჯუსტადან, საკუთარ ნამუშევარს ასე აღწერს: ის კვადრატულია, მისი ზომებია 1.5x1.5 მეტრზე. ის შეიძლება დადგათ დიდ კერძო სახლში, თუმცა სასურველია, რომ ღია სივრცეში იმყოფებოდეს. აუქციონის გამარჯვებულმა ანუ ექსპონატის მყიდველმა მიიღო სერტიფიკატი სკულპტურაზე, რომელიც მის მფლობელობას ადასტურებს.

„თქვენ არ შეგიძლიათ დაინახოთ ქანდაკება, მაგრამ ის არსებობს. ის სივრცის, აზრებისა და ენერგიისგანაა შექმნილი“, – განაცხადა სალვატორე გარაუმ და დააზუსტა, რომ უჩინარობის გამო, მისი „ნამუშევარი“ ორმაგად უნიკალურია – ვერც მის ასლს შექმნის ვინმე და ვერც რაიმე სახით წარმოაჩენს.

პრემიერმა ჩუმად იქორწინა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, ბორის ჯონსონი მეგობარ ქალზე ჩუმად დაქორწინდა. 56 წლის პოლიტიკოსმა და 33 წლის კერი საიმონდსმა, ვესტმინსტერის კათოლიკურ ტაძარში ჯვარი დაიწერეს. სადღესასწაულო ცერემონიას 30 ადამიანი – მხოლოდ ნათესავები და უახლოესი მეგობრები ესწრებოდნენ. ამბობენ, რომ პრემიერის ქორწილის შესახებ ჯონსონის რეზიდენციის თანამშრომლებაც კი არ იცოდნენ. ჯონსონი და საიმონდსი 2018 წლიდან ერთად არიან, მათ უკვე ჰყავთ ერთი ბიჭი – უილფრედი. პრემიერისთვის ეს მესამე ქორწინებაა – 1987-93 წლებში, ის ალეგრა მოსტინ-ოუენზე იყო დაქორწინებული, 1993 წელს კი მან მარინა უილერი მოიყვანა ცოლად, რომელთანაც ოთხი შვილი ჰყავს. ჯონსონის ახალი რჩეულისთვის კი ეს პირველი ქორწინებაა.

გაჯეტები მარაზმის განვითარებას იწვევს

სმარტფონებისა და კომპიუტერების გადაჭარბებული მოხმარება ჩვენს ტვინს, ფაქტობრივად, „ნაგავსაყრელად“ აქცევს – გვაფრთხილებენ იაპონელი სპეციალისტები. მათი მოსაზრებით, გაჯეტების ხშირი გამოყენება ხელს უწყობს მეხსიერების დარღვევას, მარაზმისა და დეპრესიის განვითარებას. მკვლევარების განცხადებით, ინფორმაციის დალაგებაზე ტვინში პასუხისმგებელია შუბლის არეში მდებარე წინაფრონტალური ქერქი. ამავდროულად, ის პასუხისმგებელია აზროვნებაზე, აკონტროლებს მეხსიერებასა და ემოციებს. ინფორმაციებით ტვინის გადატვირთვისას, ამ ფუნქციების მუშაობა ირღვევა, რაც გაღიზიანებასა და იმედგაცრუებას იწვევს. სწავლულები გვირჩევენ, ტვინი დავასვენოთ, შევამციროთ სმარტფონებისა და კომპიუტერების მოხმარების დრო და საკმარისად ვიძინოთ.

ხელოვნური უკანალი გამოუშვეს

„როგორც კიმის საჯდომი“ – ასე უწოდეს სილიკონის შორტებს, რომელიც, დაახლოებით, 3 კილოგრამს იწონის. შვედმა დიზაინერებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ სპეციალურად შემუშავებული ხელოვნური უკანალი, რომელსაც ამერიკელი კიმ კარდაშიანის ფორმები ექნებოდა. ზუსტი ასლის შესაქმნელად, დიზაინერებმა მოდელის ასობით ფოტო და ვიდეო შეისწავლეს, რის შემდეგაც მისი ფორმების ზუსტი, სამგანზომილებიანი ასლი შექმნეს. შორტების დიამეტრი ერთი მეტრია და სოლიდური წონაც აქვს. ამიერიდან, გოგონებს, რომლებსაც ასე ძალიან მოსწონთ კარდაშიანის სხეულის ფორმები და სურთ, თავადაც ასეთები იყვნენ, შეუძლიათ, სილიკონის შორტები გრძელი კაბების ან სხვა შესაფერისი კოსტიუმის ქვეშ ჩაიცვან. კარდაშიანის საჯდომის სილიკონური ვერსია მალე გამოვა გასაყიდად, ამ ეტაპზე, მისი ფასი უცნობია.

გლობალურ დათბობაზე ფულს „გააკეთებენ“

ჩვენს პლანეტაზე არსებულ ყველაზე დიდ კუნძულზე გადაწყვიტეს, რომ გლობალური დათბობით ფული იშოვონ – ადგილობრივები მყინვარის წყლის მასობრივ გაყიდვებს იწყებენ. ადგილობრივი ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ კლიმატური ცვლილებები, ერთი მხრივ, მყინვარების დნობას იწვევს, მეორე მხრივ კი, პლანეტის სხვა წერტილებში, ძლიერი გვალვის პროვოცირებას ახდენს. ამიტომ, ბუნებრივია, გვინდა, წყალი მივაწოდოთ იმ ადგილებში, სადაც მისი ნაკლებობაა. ყინულების წყლის ექსპორტზე ლიცენზია 9 გრენლანდიურმა კომპანიამ მოიპოვა. გასულ წელს, კუნძულზე მყინვარების რეკორდული დნობა აღინიშნა, მხოლოდ ივლისის ბოლოს, ერთ დღეში, ამ მაჩვენებელმა 12.5 მილიარდი ტონა შეადგინა.

ქარიშხალგამძლე სახლი ბოთლებისგან

კანადურმა ფირმამ JD Composites, ქარიშხალგამძლე სახლი წარადგინა. ის 612 ათასი პლასტმასის გადამუშავებული ბოთლისგან ააგეს. გადამდნარი ბოთლებისგან პლასტმასის პანელები დაამზადეს, რომელიც უძლებს ტენსა და ობს. როგორც მისი შემქმნელები ირწმუნებიან, სახლი თანამედროვე, გამძლე, მსუბუქი გამოვიდა და ამასთან, საკმაოდ იაფიც დაჯდა. არქიტექტორებმა ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ნიმუში წარადგინეს, თუმცა მიაჩნიათ, რომ გადამუშავებული ბოთლებისგან სხვადასხვა დანიშნულების უძრავი ობიექტების აშენებაც შესაძლებელია. სახლი ყველაზე აგრესიული, მეხუთე კატეგორიის ქარიშხალსაც კი უძლებს. პლასტმასის პანელები ყველაზე მკაცრ პირობებში დატესტეს და მან გაუძლო ქარიშხალს, რომელიც 524 კმ/სთ სიჩქარით ქროდა. ასეთი სახლის სავარაუდო ღირებულება 375 ათასი დოლარია.

ბარი მიზანთროპებისთვის

ტაივანის დედაქალაქ ტაიბეიში, უკვე ერთი წელია, მუშაობს დაწესებულება მათთვის, რომლებსაც სხვა ადამიანებისგან დასვენება სურთ. ბარი, სახელწოდებით – „მიზანთროპების საზოგადოება“ ყველას, ვისაც არ უყვარს ადამიანები, სთავაზობენ კრეატიულ კოქტეილებს, წიგნებსა და შავ იუმორს. მთავარი კი აქ სიწყნარეა, რადგან ესაა ადგილი ხმაურიანი საზოგადოებისგან შორს. მიუხედავად იმისა, რომ ბარი ქალაქის ცენტრში მდებარეობს, მისმა 28 წლის მფლობელმა მაინც გამონახა ადგილი, რომელიც იდეალურად მოერგო დაწესებულების შინაარსს – ის ბნელ ჩიხში მდებარეობს, სადაც მზის სხივებიც ვერ აღწევს. ბარის ინტერიერში შავი იუმორი და მოქუფრული დეკორი სჭარბობს: შავი კედლები, შავი მენიუ, შავი თეფშები. შემწვარი ქათამიც კი შავია, რადგან სოიოს ტრადიციულ ხაჭოშია დამარინადებული. „მიზანთროპების საზოგადოება“ საკმაოდ პოპულარულია და კლიენტების ნაკლებობას არ უჩივის.

გემრიელი სელფი ჯოხზე

ბრიტანული ონლაინ-კომპანია Firebox, სელფის მოყვარულებს საშუალებას აძლევს, ახალი და მეტად უჩვეულო სერვისით ისარგებლონ. ფირმა მომხმარებლებს სთავაზობს, საკუთარი სახით, რეალისტური კარამელის ასლი, ნატურალურ ზომაში დაამზადონ და ამ გიგანტური ტკბილეულით ოჯახის წევრებსა და მეგობრებს გაუმასპინძლდნენ. სელფი-შაქარყინულის დასამზადებლად საჭიროა, რომ საიტზე ატვირთოთ ფოტო – საკუთარი, მეგობრების, ოჯახის წევრების და ცნობილი ადამიანებისაც კი. ამ ორიგინალური ტკბილეულის მისაღებად, მსურველს 57 დოლარის გადახდა მოუწევს.

მამაკაცი საათნახევრით გარდაიცვალა

ავსტრალიაში მცხოვრებმა მამაკაცმა 90-წუთიანი კლინიკური სიკვდილი გადაიტანა, რის შემდეგაც მისი გული კვლავ ამუშავდა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, მამაკაცი ცოლთან ერთად, ბრიტანული კოლუმბიის პროვინციაში, სანაპირო სახლში ისვენებდა. ღამით მეუღლე მისმა ხვრინვამ გააღვიძა, თუმცა მერე დააკვირდა და ნახა, რომ სუნთქვის მკვეთრი ხმა აღარ მეორდებოდა. ის ქმრის გაღვიძებას შეეცადა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ გული გაუჩერდა და სასწრაფო გამოიძახა. 90 წუთის განმავლობაში, მედიკოსები უშედეგოდ ცდილობდნენ გულის ამუშავებას, მერე კი ცოლს განუცხადეს, რომ მისი ქმარი გარდაიცვალა. საბედნიეროდ, მამაკაცის გული კვლავ ამუშავდა და ავსტრალიელი ამქვეყნად დაბრუნდა. გაოცებული მედიკოსებისთვის აუხსნელია, რა მოხდა და ამ ფაქტს სასწაულს მიაწერენ.

კვერცხი კარგ მხედველობას შეგინარჩუნებთ

ჩართეთ 2-4 კვერცხი კვირის რაციონში და შედეგი გაგაოცებთ – კვერცხის მიღება აღკვეთს ასაკობრივ მაკულოდისტროფიას. ესაა პათოლოგია, რის გამოც, 50 წელს გადაცილებული ადამიანები მხედველობას კარგავენ. ამ დასკვნამდე ავსტრალიელი სწავლულები მივიდნენ, რომლებმაც 15 წლის მანძილზე, 3654 ადამიანზე ჩაატარეს ექსპერიმენტი. საბოლოოდ გაირკვა, რომ იმ მოხალისეებს, რომლებიც ყოველკვირეულად, 2-4 კვერცხს მიირთმევდნენ, 49%-ით ნაკლებად ჰქონდათ მაკულოდისტროფიის პრობლემა, ვიდრე მათ, რომლებიც კვირაში მხოლოდ ერთ კვერცხს მიირთმევდნენ. ექსპერტების თქმით, მართალია, კვერცხის მოხმარებასა და მხედველობას შორის არსებობს კავშირი, მაგრამ როგორია იგი, ჯერ არ დაუზუსტებიათ.

კონტრაცეპტივი თვეში ერთხელ დაგჭირდებათ

სპეციალისტებმა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან, ორალური კონტრაცეპტივი შეიმუშავეს, რომელიც თვეში მხოლოდ ერთხელ უნდა მიიღოთ. სწავლულების თქმით, ეს ნამდვილი გარღვევა იქნება, რომელიც შეამსუბუქებს შობადობის კონტროლს, რადგან ყოველდღიურად, აბების მიღება აღარ დაგჭირდებათ. ახალი კონტრაცეპტივი კაფსულაა, რომელიც სამი კვირის დოზას შეიცავს. კუჭში მოხვედრისას, კაფსულა გამოათავსუფლებს მიწოდების სისტემას და ის ნელ-ნელა გამოყოფს შიგთავსს – ლევონორგესტრელს. ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ მისი კონცენტრაცია 4 კვირით ნარჩუნდება. ადამიანებში კი, სწავლულთა ვარაუდით, კაფსულა სრულად 3 კვირაში გაიხსნება.

შემწვარ პროდუქტზე გადასახადი დაუწესეს

ინტერნეტ-კორპორაცია Yahoo Japan-მა, ტოკიოს შტაბ-ბინაში არსებულ სასადილოში, საკუთარ თანამშრომლებს შემწვარ საკვებზე გადასახადი დაუწესა. კომპანიის ხელმძღვანელობამ თანამშრომლებს გამოკვლევა ჩაუტარა და გარკვია, რომ მათგან თითქმის ნახევარს, ქოლესტერინის მომატებული დონე ჰქონდა.

ეს მაჩვენებელი საუკლეთესოსკენ რომ შეცვალონ, სასადილოში მავნე საკვებზე გადასახადი დაწესდა: მაგალითად, შემწვარი ქათამი მწარე სოუსში ახლა 100 იენით მეტი ღირს, ორთქლზე მომზადებული თევზი ბოსტნეულის სუპით კი 150 იენით გაიაფდა. სასადილოს მომსახურე პერსონალის თქმით, ამ სიახლის შედეგად, ოფისის თანამშრომელთა გემოვნებაც ჯანსაღი საკვებისკენ გადაიხარა, ხოლოო მისი გაყიდვები ორჯერ გაიზარდა. კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ჯანსაღი კვების პროპაგანდა დადებით გავლენას მოახდენს თანამშრომლებზე.

სათვალის ტარებას უკრძალავენ

ბოლო დროს, ბევრ იაპონურ კომპანიაში, დამსაქმებლები აიძულებენ ქალ თანამშრომლებს, უარი თქვან სათვალეზე და კონტაქტური ლინზები ატარონ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სამედიცინო თვალსაზრისით, მიუღებელია. დამსაქმებლების მოსაზრებით, სათვალიანი გოგონები ნაკლებად ქალურები და კეთილგანწყობილები ჩანან. ეს „აკრძალვა“ ცხარე განხილვის საგანი გახდა სოციალურ ქსელებშიც. მიზეზები, რომელთა გამოც, თურმე, ქალებმა არ უნდა ატარონ სათვალე, სინამდვილეში, ყოველგვარ აზრსაა მოკლებული. აქ საქმე გენდერს ეხება და ეს აკრძალვა მეტად დისკრიმინაციულია – მიიჩნევენ სოციოლოგებიც. სამსახურში მაღალ ქუსლებსა და უსათვალოდ მისვლის მოთხოვნა „ძველი, ტრადიციული იაპონური აზროვნების“ გამოხატულებაა – აბობენ ისინი. ზოგი კი იმასაც აცხადებს, რომ სათვალე ტრადიციულ სამოსს – კიმონოს არ უხდება.

კალიებიან პურს ჰყიდიან

Roberts Bakery პირველი საცხობია დიდ ბრიტანეთში, რომელიც მწერების გამოყენებით, პურს აცხობს. ორგანული პურის პარტია, რომელსაც Crunchy Cricket უწოდეს, კალიებისგან მიღებული ფქვილით მოამზადეს. თითოეული პური, დაახლოებით, 336 კალიას შეიცავს, რომელიც გაახმეს, დააქუცმაცეს, ფქვილად აქციეს და პურის ფქვილს შეურიეს. ახალი პური უფრო მეტ ცილას შეიცავს, ვიდრე ჩვეულებრივი და გაცილებით უფრო ეკოლოგიურიცაა. რაც მთავარია, ახალი პური შესანიშნავი მეთოდია, რათა ადამიანი მწერებისგან მომზადებულ საკვებს შეეჩვიოს.

სიმსუქნისგან კიდევ ერთი „მხსნელი“ დაგიცავთ

წითელი ყურძნისა და ფორთოხლის ერთად მიღება, პროფესიონალების მტკიცებით, ადამიანს ჭარბი წონისგან გაათავისუფლებს. ახალი წამლის შექმნის საკუთარ იდეას მედიკოსები, ღია ნივთიერებების საფუძველზე ახორციელებენ, რაც საბოლოოდ შესაძლებლობას მოგვცემს, დიაბეტსა და სიმსუქნეს თავი დავაღწიოთ. უორვიკის უნივერსიტეტის სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ამ ორ შემადგენლობაში არსებული ნაერთების კომპოზიცია ხელს უწყობს დიაბეტის, გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებისა და ზედმეტი კილოგრამების აკიდების რისკის შემცირებას. ასეთ ეფექტს იძლევა ტრანს-რესვერატროლი და ჰესპერტინი, რომელსაც ყურძენი და ფორთოხალი შეიცავს – ერთად მოქმედებით, ისინი ცილა Glo-ის გამომუშავებას უწყობენ ხელს, რომელიც შაქრის მავნე ზემოქმედებას ანეიტრალებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.